ხუთშაბათი 1919 წ. მაისის 15 № 104
წელიწადი მეხუთე

საქართველო

ხუთშაბათი 1919 წ მაისის. 15 № 104
ფასი 1 მან. და 50 კ.

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპიროებოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

უზომოთ შეწუხებული ივანე (ვანო) და მარუსია, მატა, იოსები, მიხეილი და სიმონ მდივნები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველის ძვირფასი მეუღლის, მეორესი საყვარელი დედის, მესამესი და მეოთხის დაუვიწყარი რძლის

ნადეჟდა ნადია მდივნის

უდროვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს 15 მაისს (ქალ. ქუთაისი, მესხეთის ქუჩა. საკ. სახლი).
(2—2378—2)

მწერალთა კავშირის საბჭო

აცხადებს, რომ მაისის 19-ს, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია

ბელეტრისტ შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) პატივსაცემად

საზეიმო საღამო

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
(1—71—1)

ქართული ლატარია.

უნივერსიტეტის და თეატრისთვის.

<>

გადაიდო ქართული ლატარია შემოდგომამდის იმ მიზნით, რომ უფრო გააძლიეროს თავისი თანხა.

<>

იყიდეთ ლატარიის ბილეთები.

ერთმანეთის წასახდენად

ამიერკავკასიის რესპუბლიკები უფრო მეტს მუშაობენ ერთმანეთის დასასუსტებლად და დასამარცხებლად, ვიდრე საერთო მტრის წინააღმდეგ შეერთებულ წინააღმდეგობის მოსაგვარებლად. ამ მხრივ თავიდანვე სომხეთმა ისახელა თავი რომელიც პრინციპიალ შეურიგებლობას იჩენდა საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისადმი. ევროპასა, რუსეთსა თუ აქ, ამიერკავკასიაში, სომხეთი არავითარ საშუალებას არ ზოგავდა თავის მიზნების მისაღწევად. სომხეთის ყოველი ნაბიჯი და მოქმედება თავის დროზედ იყო აღნიშნული მიმდინარე პრესაში და სათანადოთაც დაფასებული. მხოლოდ ყოველ მხრივ დამარცხების შემდეგ სომხეთმა, რა ვერ დაინახა ვერავითარი სხვა გამოსავალი, დასთმო და გამოაცხადა, მის განკარგულებაში რომ არის იმ პრესის საშუალებით, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა არც საქართველოსი და არც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობისა და რომ თითონაც საკუთარ დამოუკიდებლობის განხორციელების ზრუნვაში იყო.

სომხეთის შემდეგ, აზერბაიჯანი გამოვიდა ამავე როლში და ისიც საქართველოს წინააღმდეგ. ყველასათვის ცხადი იყო რომ ახალციხის ამბებთან კავშირი ჰქონდა აზერბაიჯანს. თვით აზერბაიჯანმა ოფიციალურად გამოსთქვა მისი მონაწილეობა, როდესაც მან „მეგობრული“ ნოტა გამოგვიგზავნა და მოითხოვა რომ ჩვენი მთავრობა განზედ გამდგარიყო ახალციხის მაზრიდან და არ შეხებოდა აზერბაიჯანის ერთმორწმუნე ახალციხის ხალხს! თუ სომხეთი საკუთარის ჯარით და სხვა საშუალებით ახლილად გვებრძოდა, აზერბაიჯანი უფრო ფარულად სხვასთან და სხვის ხელით გვირევდა საქმეს, სარგებლობდა რა იმ გარემოებით ახალციხის ქართველობა სარწმუნოებით მუსულმანია. ამ ორი დღის წინად აქაურ გაზეთებში მოთავსებული ცნობები კიდევ ერთხელ გვიმტკიცებენ, რომ აზერბაიჯანი არ თაკილობს და ცდილობს ჩვენს დაზიანებას სერვერბეგი, ქობლიანელი, თემურბეგ ხიმშიაშვილისადმი მიწერილ ბარათში ამბობს, რომ აზერბაიჯანის მთავრობას სამას-სამას ათასი მანეთი აქვს გადადებული თითო დელეგატისთვის, რომელიც სტამბოლსა და პარიზში გაემგზავრება და იქ იმუშავებს ყარს-ბათომ-ახალციხის ოლქებიდან დამოუკიდებელი სამხრეთ-დასავლეთის სახელმწიფოს გამოსაჭრელად. აზერბაიჯანი სრული შეგნებით მუშაობს საქართველოს მთლიანობის დასარღვევად და მისი ტერიტორიის დასაკუწავად. ეთნოგრაფიულად და ტერიტორიულად აზერბაიჯანისგან მკაფიოდ ვიყავით გამიჯნული, ამ სფეროში მასთან ბუნებრივად სადაო არაფერი გვქონდა და ამიტომაც თავიდანვე აზერბაიჯანის მიმართ მეგობრულ განწყობილებას ვადექით და ვიცავდით. ხოლო აზერბაიჯანი დღეს ხელოვნურად ჰქმნის კონფლიქტსა და შეხლა-შემოხლის საბაბს, თითქოს ეს ან მისთვის იყოს სასარგებლო და ან ჩვენთვის. აზერბაიჯანის ასეთი მოქმედება მეტის-მეტად არალოიალურია. ასეთ პირობებში რა ფასი აქვს ჩვენ და მათი წარმომადგენლების ერთად ყოფნას ამიერ-კავკასიის კონფერენციაზედ, თითქოს შეთანხმების და მეგობრობის პირობების დასადებათ. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ასეთ გარემოებაში საერთო თათბირიც კი. რა უნდა ვიწამოთ მისგან, სანამ იგი ხელს არ აიღებს ასეთ მოქმედებაზე და საქართველოს ძირეულ, მკვიდრ პროვინციებს თვის პრეტენზიის გარეშე არ დააყენებს?!

მესამე და მუდმივი მტერი საქართველოსი და სხვათა დამოუკიდებლობისა არის რუსობა, რომელიც ამიერ-კავკასიაში დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ყველანი პირველად საქართველოს ეძგერებიან. მათი იერიშების მთავარი საგანი საქართველოა. მართალიცაა, ვისაც ამიერ-კავკასიის ხალხთა დამხობა უნდა, მან უწინარეს ყოვლისა საქართველო უნდა განგმიროს ეს მთელი კავკასიის პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი და ტოპოგრაფიული გული. უნდა იცოდეს სომხეთმაც და აზერბაიჯანმაც რამდენადაც ისინი საქართველოს ებრძვიან და ასუსტებენ, იმდენად ისინი თავიანთ თავს უთხრიან სამარეს.

დარჩა საქართველო და ჩრდილოს მთა. საქართველო არავის არაფერში შედავებია, არც ტერიტორიაში და არც სხვა რამეში. მსურველია, რომ ყველა გამაგრდეს და მოეწყოს. ამ მხრივ მუშაობენ მისი წარმომადგენლებიც ევროპაში.

ამ მიზნით საქართველო შველის თავის მეზობლებს და მზადაა კვლავაც დაეხმაროს. საქართველო მთელი თვეებია, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძვის, დენიკინის წინააღმდეგ.

ასე იქცევა კეთილშობილი მთაც. იგი თავიდანვე ხედავდა თავის ნამდვილ მტერს და ეს მეორე წელიწადია, რაც გამძვინვარებული ეომება ხან ბოლშევიკებს და ხან დენიკინელებს.

დღეს ოთხივე სახელმწიფოს წარმომადგენლები თბილისში არიან, საერთო კონფერენციაზედ. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მათი ყურადღება კიდევ ერთხელ მიგვექცია იმ „მატლზე“ რომელიც ღრღნის ამიერ-კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას. ვისწავლოთ ჭკვა; დროა შევიგნოთ მომენტი; ხელი ავიღოთ ერთმანეთის ჩაქოლვაზე; დავინახოთ საერთო მტერი და შევქმნათ საერთო ფრონტი. თორემ ეს კონფერენცია თავის მიტყუილება იქნება და ყველაფერიც ამაოდ ჩაივლის.

პრესსა

ყველა ადგილობრივი გაზეთები, ეხებიან იტალიის მისიის ჩამოსვლას.

გაზ. „ერთობა“ სოციალ-დემოკრატების გაზეთი სწერს:

იტალია ახლად აღორძინებული ქვეყანაა. სულ რაღაც ორმოცდარვა წელიწადია, რაც იტალია შეერთდა და ერთ სახელმწიფოთ გახდა. ეს იყო 1871 წ., როცა პრუსიამ სძლია საფრანგეთს და საბოლოვოთ დამარცხდა ნაპოლეონის თვითმპყრობელობას. მანამდის დღევანდელი იტალია, მრავალ სამთავროებათ დანაწილებული, საშინლად შევიწროებული იყო აგრეთვე ავსტრიის მხრით.

და იტალიამ თავის საკუთარ ზურგზე გამოსცადა საშინელი მონობის უღელი. ამიტომ მან იცის თავისუფლების ღირებულება და აფასებს ბრძოლას. ის ჯერ კიდევ არ არის ისე მოწყობილი საბოლოვოდ, როგორც ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოები.

ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ იტალია ჩვენში არ დაიჭერს იმ მედიდურობით აღსავსე პოზიციას, რომელიც ასე ახასიათებდა ინგლისის სარდლობას.

„სახალხო საქმე“.

სოციალ-ფედერალისტების გაზეთის აზრით:

საქართველოსათვის იტალიასთან ურთი-ერთობა მეტად ლოიალური და კეთილგანწყობილი იქნება. იტალიელებსა და ქართველებს შორის მეგობრობას ღრმა ეკონომიური და სოციალური საფუძველი აქვს. იტალიას აღმოსავლეთში, ამიერ-კავკასიაში და სპარსეთში არ ქონდა წინად ის ეკონომიური ინტერესები, რომელიც ქონდა ინგლისს, საფრანგეთს და ამერიკას. არც ვალების აღება, არც კაპიტალი, კოლონია და სხვა იტალიას ჩვენკენ არ ქონდა, იტალიის გული ამ შემთხვევაში არ არის დალარული სხვა და სხვა წყეულ კლასობრივ ინტერესებით და ისევე საქართველოსაც არავითარი გასასწორებელი ანგარიშები არ ქონდა იტალიასთან, როგორც ჩვენ, ქართველები, ისე იტალიელები ერთმანეთს შეხვდებით მოუწამლელი გრძნობით, კერძო ინტერესების გარეშე, აქ მტკიცე საფუძველი აქვს მეგობრობას, კეთილგანწყობილებას, ერთმანეთის გაგებას.

გაზ. „გრუზია“

... ინგლისს ჩვენ შევეგებეთ კეთილ სურვილით და მზად ვიყავით მისთვის სრული ნდობა გამოგვეცხადებინა ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწმობდენ ინგლისის საქართველოს დამოუკიდებლობისადმი კეთილ განწყობილებას, მაგალითად მათგან გენ. დენიკინისადმი გაცემული ბრძანება. ამ უკანასკნელისაგან საქართველოზე მოულოდნელ თავდასხმისა გამო თავის დროზე საზოგადოებისა და პრესისაგან უგულითადესი მადლობას იღებდა ხოლმე. სამწუხაროდ სინამდვილემ არ გაამართლა ის იმედები, რომლებიც ჩვენ აღგვეძრა აქ ინგლისის ჩამოსვლისთანავე.

ჩვენ ამ ჟამად არ შევჩერდებით დაწვრილებით ყველა იმ ფაქტებზე, ახლო წარსულში, რომ ჰქონდათ ადგილი და რომელიც საზოგადოდ ცნობილნი არიან.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლად მოსულ იტალიის სარდლობასთან ჩვენ გვექნება აუცილებელი გულწრფელი და ნორმალი ურთიერთობა. იტალია აქაურ მდგომარეობის ასეთი თუ ისეთი შინაარსით ნაკლებად არის დაინტერესებული და საერთოდ მას სულ სხვა პოლიტიკური გეზი აქვს: ამის გამო იტალიას შესაძლოა იმ მოვლენათა შეფასებაში, რომელიც ახლო მომავალში უნდა გადაიშალენ ჩვენი უფრო მეტი ესმოდეს ვიდრე სხვისი.

ჩვენი დროის ჰეროსტრატი

ჰეროსტრატმა ძველს საბერძნეთში დიდებული ტაძარი ცეცხლში გადაწვა, რომ შთამომავლობას მისი სახელი ხსოვნაში შეენახა. ამ გმირს მხოლოდ ის დაავიწყდა, რა სახელით მოიხსენებდა შემდგომი თაობა მის საქციელს.

სამწუხაროდ ჰეროსტრატის მაგალითის მიმბაძველები **mutatis mutandis** ახალ დროშიაც მოინახვებიან. ასეთი ტიპები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ სენსაციურ აქტებით, თუ მოქმედებით „სახელი“ მოიხვეჭონ საზოგადოებაში.

ერთი ასეთი ჰეროსტარტთაგანი მმართველ წრეებშიაც შეიჭრა და პირველსავე დღეებში სავსებით დაამტკიცა ელლადის გმირთან ნათესაური კავშირი.

მას რითიმე უნდა ესახელებინა თავი უთუოდ როგორმე უნდა დაენახვებინა ამხანაგებისათვის ადმინისტრატიული ნიჭი და სწრაფი კათეგორიული მოქმედება... და ჩაიდინა ისეთი საქციელი, რამაც დღევანდელს „განუსაზღვრელ შესაძლებლობის“ ჟამსაც შეაძრწუნა ყოველი იურიდიულად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი.

ერთი კალმის მოსმით, იუსტიციის მინისტრის „ყოვლად შემძლე“ ამხანაგმა თვითნებურად, თვისი უფროსისა და მთავრობის დაუკითხავად გააუქმა სასამართლო პალატის თავმჯდომარის და მის კანცელარიის შტატი და მოსამსახურენი და მათ შორის პალატის უფროსი თავმჯდომარე დათხოვნილად გამოაცხადა 5 ივნისის კანონის მიხედვით

ძველი იურისტები ამბობენ, რომ თვითმპყრობელ რუსეთში ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებშიც შეუძლებელი იყო ამგვარი ტლანქი შეჭრა აღმასრულებელ ორგანოსი დამოუკიდებელ სასამართლოს სფეროში. პოლიციელებისა და ჟანდარმების უზომო ბატონობის ხანაშიც დაზოგვილი იყო კანონიერების დამცველი დაწესებულება და მისი დამოუკიდებელი მართებლობა თვით დერჟიმორდებისაგანაც პატივცემული იყო.

საზოგადოების განცვიფრებასა და ბუნებრივ აღშფოთებას საფუძველი მართლაც ჰქონდა, როდესაც დემოკრატიულსა და პარლამენტარულ სახელმწიფოში დამფუძნებელ კრების მართველობის დროს ვინმე მოხელე უხეშად შეიჭრა უმაღლეს სასამართლოში და მისი უფროსი წარმომადგენელი ურცხვად და მოურიდებლად ქუჩაში გამოაგდო.

ამ ჰეროსტრატს ყოფილი „მოღვაწეობის“ დაუსჯელობაც, ალბად, აქეზებდა და უკანასკნელი „აქტით“ თავისი თავის პიედესტალზე აჭყორცნა ჰსურდა...

მაგრამ „ნახტომი ვერ მოუვიდა“ დაგვიანებულად მოვლინებულ ჰეროსტრატს! იუსტიციის მინისტრმა 129 №-ის ბრძანებით გაუქმებულად გამოაცხადა თვის ამხანაგის ს. ჯაფარიძის 121 ნუმრის განკარგულება და ამრიგად სასამართლოს შელახული პრესტიჟი აღადგინა და საზოგადოების აღშფოთებული სინიდისიც დააკმაყოფილა.

ახალ ჰეროსტრატის საქციელი უფრო სამარცხვინო გამოდგა, ვიდრე მის უძველეს დროის წინამორბედის ეფექტიური თავხედობა.

რ. ინგილო.

სპ. კედიას სიტყვის სტენოგრამა.

დამფუძნებელი კრების 10 მაისის სხდომიდან.

ბატონებო! თქვენ მოისმინეთ მთავრობის სიტყვა, მოისმინეთ სხვა და სხვა ფრაქციების ორატორების სიტყვებიც. ყველა ამ სიტყვებიდან დაინახავდით, რომ დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა, განსაკუთრებით მწვავე არის, და შეიძლება, ხიფათითაც სავსე. სწორედ ბუნებრივად არის, დამფუძნებელ კრების და მთელი ქართველ ხალხის აზრი და გონება, ამ გარეიოებით მოცული და ჩაფიქრებული. ეს მომენტი უცბათ და ერთბაშად არ ჩამოშვებულა ზეციდან, იგი ხანგრძლივად იქვანძებოდა ერთის მხრივ ჩვენი მთავრობის პოლიტიკის მიმართულებით, და მეორეს მხრივ, საერთაშორისო მიმდინარეობით. ამ ორ ძალის შეწყობა, თუ შეუწყობლობა, ბოლოს ჰქმნის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. ამიტომაც, თუ ჩვენ გვსურს მდგომარეობის შეგნება, მდგომარეობის გაგება, და სამერმისოდ სწორი გზის აღება, რომ დღევანდელი ვითარება კვლავ არ განმეორდეს, ჩვენ გვმართებს, გარეშე რევოლიუციურ ფრაზებისა, და მეტ შემთხვევაში, არა საჭირო მუქარისა,—უფრო ჩაფიქრებული და სწორი ანალიზი შინაურ და გარემომცველ მოვლენებისა, მე ვფიქრობ, მიუდგომელი ანალიზი ჩვენ მდგომარეობისა, ჩვენ საკუთარი ძალის, ჩვენი საკუთარი პოლიტიკისა ერთის მხრივ, და მეორეს მხრით გაგება იმ ხალხთა, და სახელმწიფოთა ნამდვილი სულისკვეთებისა და პოლიტიკისა, რომლებიც დღეს თითქმის მთელ ქვეყნიერებას განაგებენ, მოგვცემდა იმის შეგნებას, თუ რას უნდა ვშვრებოდეთ და რას არა. და ეს ორი მხარე ჩვენი დღევანდელი მომენტის შემქნელი, არ არის თქვენ მიერ წესიერად აწონილი. დამოუკიდებლობის დაცვა რომ უნდა, ეს უდავო არის ყველა ქართველისათვის და აქ, ამ ტრიბუნიდან, საამისო დეკლარაცია არც არის საჭირო, ვერავინ ვერ ამოშლის სამშობლოს იმ ღრმა განცდასა და შეგნებას, რომელიც ჩვენს არსებაშია ჩანივთებული. მაგრამ, დამოუკიდებლობის დაცვას უნდა შეხამებული მეთოდი; საქართველო განმარტოვებულ კუნძულზედ არ არის, რომ ანგარიში არავის გაუწიოს. საქართველოს მდგომარეობა, დღეს უკვე ეს ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის იმ ძალების შეფარხებისგან წარმოსდგება რომელნიც დიდ სახელმწიფოების ცხოვრებას განაგებენ. და რადგან ეს ესეა, ნუ თუ ბატონებო, ჩვენ არ გვმართებს გავითვალისწინოთ, და გავიგოთ სწორეთ თუ რა ძალებია ეს ძალები და რომელ სახელმწიფოზეა დამოკიდებული ჩვენი მდგომარეობის საბოლოო გადაწყვეტა და ის თუ რანაირი სოციალ-პოლიტიკური მოტივები. ახასიათებს დღეს ამ სახელმწიფოებს. ჩვენ გვგონია, რომ ამის სწორედ გაგება მეტად აუცილებელია და ჩვენ უნდა გავიგოთ კიდეც. საქართველო წარმოიშვა, ვიცით რა პირობებში, — რევოლუცია და ომი იყო მშობელი ჩვენ დამოუკიდებლობისა. და დღიდან ამ რევოლუციისა ევროპა და ამერიკა ორ დიდ ბანაკად დაიყო. ერთის მხრივ, რევოლიუცია მისი მეთოდით—ნგრევისა და განადგურების, ხოლო მეორეს მხრივ, ძველ წესიერების გარდაქმნელი ძალა, რომელიც ევოლიუციურად სცდილობს გააუმჯობესოს, განავითაროს, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, ქვეყნის მდგომარეობა, ესაა ორი სხვა და სხვა მსოფლმხედველობა, ორი სრულიად სხვა და სხვა ქვეყანა. ეს ორი ძალა, ორი მიმდინარეობა ერთი-მეორეს ეხეთქება, და ამ შეხეთქებაში საქართველომ უნდა საბოლოოდ გამოარკვიოს, თუ ვისი მხარე უჭირავს და ვისი სიმპატიები აქვს. საქართველოს თავის საკუთარის ძალით, რომელიც არ ჰყავდა, და ჯერაც არა ჰყავს მოწყობილი, არ შეუძლიან მარტოდ-მარტო ამ ორ ტრიალში თვით-განმტკიცება. მას ესაჭიროება მეგობრის ხელი და თანაგრძნობა იმ დიდ სახელმწიფოთა, რომელნიც დღეს მოვლენებს სარდლობენ. ასეთები გვყავნან კიდეც. ეს ანტანტის სახელმწიფოებია და ნუ თუ ასეთ შემთხვევაში, არ უნდა ვსცდილობდეთ გავიგოთ მეგობარი და სამეგობრო ხალხებისა და სახელმწიფოების სულისკვეთება, რომ შესაძლებელი იყოს ნამდვილი კავშირის დამყარება ჩვენს შორის? ამათ გარდა, თუ არა ბოლშევიკური უწესოება, სხვა გზა და სხვა არჩევანი ჩვენთვის არ არსებობს. და ამიტომაც ჩვენი შინაგანი პოლიტიკა, მთელი ჩვენი საერთო ეროვნული პოლიტიკა, უნდა იყოს შეთანაბრებული იმ მთავარ ძირითად პოლიტიკასთან, რომლის, როგორც ღერძის გარშემო, ტრიალებენ გამარჯვებული სახელმწიფოები;—ან საქართველო თვით უნდა იყოს ძალიან ძრიელი თავის შეიარაღებული ძალებით, რომ თავიც დაიცვას და თავისი რევოლიუციური პოლიტიკა სხვა სახელმწიფოებსაც მიაღებინოს, ან და, რადგან ასეთი მასშტაბით ძალა საქართველოს არა აქვს, ხოლო მეორეს მხრით, მას გამარჯვებული სახელმწიფოს თანაგრძნობა და დახმარება ესაჭიროება,—საქართველომ თავის შინაურ პოლიტიკას უნდა მისცეს ზომიერი ლიბერალური ხასიათი, როგორც ევროპა-ამერიკის დემოკრატიულ ქვეყნებშია და გადაჭრით უკუაგდოს ბოლშევიკურ რევოლუციის ქაოსში გახვეული რუსეთის პრინციპი და მეთოდი.

შინაურ პოლიტიკაში ყველა ძალთა შემაერთებელი კომპრომისი, ყველა ცოცხალ ეროვნულ ძალთა ჰარმონიის შექმნა და საღი ეკონომიური რეფორმების წარმოება უძარცვა გლეჯოდ, აი რა გაგვამტკიცებდა შინ და გარედ.

საგარეო პოლიტიკა, რომელიც ამგვარი შინაური პოლიტიკის ემონაცია იქნებოდა, თავის ბუნებით შეეწყობოდა დიდ სახელმწიფოების საერთო ხაზს და სრულიად მისაღები იქნებოდა იმ ერებისთვის, რომელნიც საქართველოში შემოდიან. ხოლო ჩვენ ისეთი გეზი ავიღეთ რომ რაც წინ მივდივართ ჩვენსა და მათშორის წინააღმდეგობას ვაღრმავებთ. მე ვფიქ-

უკანასკნელი ცნობები

გერმანულმა ეროვნულმა ყრილობამ გადასწყვიტა საზავო პირობებს ხელი არ მოაწეროს.

გერმანელებმა გადასწყვიტეს თავის მხრითაც წარადგინონ ზავის პირობები, რომლებიც ვილსონის 14 მუხლის საკუთარ ახსნა-განმარტებაზე იქნება აგებული.

ბოლშევიკთა ცნობით იტალიაში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია, დღე დღეზე რევოლუციაა მოსალოდნელი.

საბოლოოდ გადაწყდა რომ პარიზის კონფერენცია რუსეთის საკითხს არ განიხილავს. იგი ხალხთა ლიგას გადაეცემა.

მურმანისა და იუზოვკის მიმართულებით ბოლშევიკებს დიდი ბრძოლა აქვთ.

რობ, რომ სწორედ ეს შექმნილი განსხვავებაა ის მიზეზი, რომელმაც მრავალჯერ შეგვიქმნა დღევანდელის მზგავსი კრიტიკული მომენტი და რომელიც მომავალშიაც კიდევ ბევრჯელ შეგვიქმნის.

დიახ, ბატონებო! ძირითადი მიზეზი ამ კრიტიკული მომენტებისა მდგომარეობს იმაში, რომ იმ ძალებს, რომელნიც დღეს ბატონები არიან, ალღო ვერ ავართვით და ანგარიშს არ ვუწევთ. არ ვუწევთ ანგარიშს მათ მოტივებს, მათ მოქმედებას, მათ პოლიტიკას.

მაშ, ეხლა რა უნდა ვაკეთოთ?

მიუცილებელი საჭიროება არის ჩვენ პოლიტიკის გადახედვა და მისი იმგვარად წაყვანა, რომ არ იყოს არც პრინციპიული კონფლიქტები და არც მეთოდიური კონფლიქტები, ჩვენსა და იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც, ვიმეორებ, მდგომარეობის ეს არის ერთად-ერთი სწორი ხაზი და ერთად-ერთი შემოქმედი პოლიტიკა საქართველოს განმტკიცებისთვის. სხვა გამოსასვლელი ჩვენ არა გვაქვს. ვნახოთ, დაიჯერებს ამას მთავრობა თუ არა? ბატონები არიან.

ეხლა საგანს კონკრეტიულად შევეხოთ და ვნახოთ მოკავშირეთა მოქმედება თვით საქართველოში.

საქართველოში შემოსულმა მოკავშირემ რომ ქართველი ხალხის ეროვნული უფლების შეგნება და სუვერენობა რომ შელახა, ეს ცხადია; შელახა არა დეკლარატიულად, არა სიტყვიერად, პირიქით, სიტყვიერად და დეკლარატიულად იგი აცხადებს პრინციპს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ხელუხლებელია. მაგრამ, ფაქტიურად, მთელ რიგ მოქმედებით ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში, მოკავშირეთა წარმომადგენლობამ მოგვცა აუარებელი საბუთი, რომ ის არ სცემს თავის სიტყვას პატივს, და სტეხს მას ძალიან ხშირადაც. თქვენ აქ უკვე მოისმინეთ წინა ორატორებისაგან ფაქტები, ამას რომ მეტყველობენ. მოკავშირეთა პირველი შემოსვლა საქართველოში იმით აღინიშნა, რომ საქართველო იძულებული გახდა ხელი მოეწერა ისეთ ხელშეკრულებაზედ, სომხებთან ომის დამთავრებისას, რომელიც მიუღებელია ჩვენ სახელმწიფოებრივ ინტერესებისთვის. ეს ფაქტი, რომელიც მოხდა მაშინ ინგლისის ჩარევით და ძალდატანებით,—რასაკვირველია საქართველოს მთლიანობისა და მის სუვერენობის შემკვეცელი ფაქტია. მეორე ფაქტი, რომელიც აქ დასახელებული იყო, შმაგაილოვისა და კომპანიის, აგრეთვე იმას გვიმტკიცებს, რომ შემოსული ინგლისის წარმომადგენლობა პატივს არ სცემს დამოუკიდებელ ქვეყანას და მის სასამართლოს. კიდევ მეტი, ამ პროცესიდან და ნაბიჯებიდან, რომელებიც ამ პროცესში ინგლისის ოფიციალურმა პირმა გადადგა მტკიცდება, რომ ინგლისი მონაწილე იყო ამ ძეგვის ხიდის აფეთქებაში. ინგლისის ოფიციალური პირი საქართველოში აცხადებს: ვინც ძეგვის ხიდის აფეთქება მოაწყო, ჩვენი აგენტები არიანო! შემდეგ, ამავე რიგის ფაქტია, არტაანის ფაქტი.

ინგლისის მისიის თანხმობით და ნებართვით შევედით არტაანში, აუარებელი მსხვერპლი გავიღეთ, და დღეს იგივე მისია გვეუბნება ეს მხარე უნდა დასტოვოთო. აქ არის სხვისი მსხვერპლის აბუჩად აგდება, სხვისი ინტერესისა და თავმოყვარეობის გათელვა. ამას მოურიდებლათ ჩადის ინგლისის მისსია. ისეთივე არის მოთხოვნილება ინგლისელების შესახებ იმ მკვლელობისა, რომელიც აქ უკვე დაგვისახელეს.

აი ფაქტები, აი ინგლისელების მოქმედებანი, რომელნიც ჩვენს სუვერენობას ეხებიან.

ჩვენის მხრით დაუშავეთ რამე? შეულახეთ ან თავმოყვარეობა ან ღირსება? არავითარი ამის მზგავსი არ მომხდარა. ინგლისის წინააღმდეგ არა მოგვიმოქმედებია ისეთი რამ, რაიცა შემლახველი ყოფილიყოს მისი თავმოყვარეობისა. ასეთ პირობებში, სრულიად ინგლისის მისსიის ნაბიჯები და მოქმედებანი კანონიერად აჯანყებს და ამხედრებს მთელ ქართველ ხალხს. ნამეტურ მძიმეა ქართველი კაცისათვის ტერიტორიის სფეროში მისი კანონიერი უფლების შეკვეცა. საქართველოს ტერიტორია, ეს განსაკუთრებული რაღაცაა ქართველი კაცისათვის. მე არ მეგულება მეორე ტომის ადამიანი, რომელსაც თავის მიწა-წყალი ისეთ სიმტკიცით და სიძლიერით უყვარდეს, როგორც ეს ქართველს უყვარს ეს მოვლენა და გარემოება შემთხვევითი არ არის. ჩვენ არ ვსცხოვრობთ სხვებივით ოკეანეთა გარშემორტყმით დაცულ კუნძულზე.

ჩვენი სამშობლო გზა და ხიდი იყო და არის ორ დიდ ქვეყანას შორის ამ ხიდეზე სწარმოებდა მუდმივი შეხლა-შემოხლა სხვა და სხვა ხალხს შორის. ჩვენს ქვეყანაში კენჭი არ არის, რომელიც ათასჯერ არ გადატრიალ-გადმოტრიალებულიყოს და ისე არ ეპოვოს თვისი ეხლანდელი ეკლიბრი. საუკუნეთა ბრძოლით და მუშაობით არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორია და საზღვარი დადგენილი და როდესაც უცებ შემოსული ჩვენს ტერიტორიას ესე ადვილად მოეპყრობა და ჩვენთვის გაუგებარის ხალვათობით მას აქეთ-იქით გაზიდებას დაუწყებს,—ცხადია ქართველი ხალხი მღელვარებასა და აჯანყებაში მოვა.

ასეთია ეს ფაქტიური მხარე, რომელიც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ მოსული ინგლისის წარმომადგენლობა მაინც და მაინც ჩვენ მეგობრულად არ გვეპყრობა, და იქცევა ისე, როგორც ეს არ შეშვენის ვითომ და წესიერების დასაცავად მოსულ სახელმწიფოს.

მინდა კიდევ ერთ რამეზე მიგითითოთ. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ ბატონებო, რომ ჩვენ დღესაც ომი გვაქვს ჩრდილოეთში დენიკინთან. ჩვენთან ერთად მთელი მთაც ომობს დენიკინთან. დენიკინი თავის ძალებით ილაშქრება საქართველოსა და მთიელთა და სხვა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკების წინააღმდეგ: ამავე დროს ინგლისის წარმომადგენლობა ამიერ კავკასიის ერთ-ერთ სახელმწიფოდან გენერალ დენიკინს თექვსმეტ ვაგონს უგზავნის სხვა და სხვა ამუნიციას, თოფს, ზარბაზანს და სხვას. ხომ შეიძლება გენერალმა დენიკინმა ჩვენივე თოფ-ზარბაზნით ჩვენვე გაგვანადგუროს! მას შეუძლიან ეს ზარბაზნები ჩვენ დაგვიშინოს, ისე როგორც ბოლშევიკებსაც. მხოლოდ დროისა და საჭიროების საკითხია ეს მისთვის. ინგლისის მისიის ასეთი მოქმედება ბუნებრივად ბადებს ჩვენში ეჭვს და გაუგებრობას. აქ აშკარად წინააღმდეგობაა ინგლისის სიტყვის და საქმეს შორის. ასეთი ორჭოფული მდგომარეობაა. მთელ თვეების განმავლობაში, მას აქეთ, რაც აქ ინგლისელები საქართველოში ჩამოვიდნენ; ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ ინგლისის პოლიტიკა სინათლეზე გამოგვეტანილიყო, სათანადო დიპლომატიური ხაზი და გზა ვერ ავიღეთ ესეც მინუსია ჩვენი დიპლომატიის ხერხიანობის.

ეხლა ვიკითხოთ, ნუ თუ მართლა შეხლა-შემოხლისა და კონფლიქტის მეტი საერთო და სათანახმო არაფერია ჩვენსა და ინგლისს შორის?

ჩვენის რწმენით, ჩვენი ინტერესები ძირითად რამეში ერთმანეთს ურიგდებიან. ამიერ-კავკასია და მისი პოლიტიკური და ტოპოგრაფიული გული—საქართველო პლაცდარმია ინდოეთის კენ მისაშვერ ზარბაზნებისათვის. ეს პლაცდარმში დიდი მუქარა იყო რუსეთის ხელში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ეს პლაცდარმი რუსეთს ხელიდან გაუვარდა. როგორც ჩვენ ვართ დაინტერესებულ ჩვენს დამოუკიდებლობაში ისე ინგლისიც დაინტერესებული უნდა იყოს ეს პლაცდარმი დარჩეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და მისთვის უვნებელი.

ამ მხრივ, საქართველო—ინგლისის ერთნაირი დაკავშირება, საერთო მიზნების შესაწყობად, modus vivendi-ს გამოსანახავათ, ორივე ქვეყნის ძირითადი ინტერესების ბრძანებაა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ modus vivendi-ს გამოძებნაში უნდა გამოითქვას დღეს ჩვენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პოლიტიკა. მაგრამ ამ შეთანხმებას და დაკავშირებას, ვიმეორებთ, ერთი მიუცილებელი პირობა უნდა ედვას საძირკვლად: საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ პირობით საქართველო ინგლისის შორის საერთო ენის გამოძებნა, და საერთო მიზნების შეხამება, საერთო მუშაობისა, და საქმიანობისათვის, შესაძლებელია და მისაღწევი.—აი რა არის დღეს გასაკეთებელი, და რა მხრივ უნდა იყოს მიმართული ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ის საერთო ენა ერთ დღეს გამოიძებნება. მანამდე კი ჩვენ გვმართებს დინჯი, აუჩქარებელი მუშაობა, და მოვლენების სწორი შეფასება. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ვინიცობაა, მიუხედავად ყოველგვარ მოლოდინის, ჩვენ დამოუკიდებლობას ხელი შეახეს, და მას, რაც ქართველს ხალხს უძვირფასეს სამკაულად და განძად მიაჩნია, ხელი წამოავლეს,—მაშინ ღირსება და თავისუფლება უნდა დავიცვათ და აქ კილოს აუწევლად უნდა დაიდვას პატიოსანი სიტყვა მოქალაქისა, რომ ამგვარ წუთს ღირსეულად შევხვდებით.

მაგრამ ეს არის უკიდურესი საშუალება და ზომა, რომლის შედეგები ძნელად გასათვალისწინებელია და იმიტომ, ვიდრე ეს უკიდურესობა ნახმარი, იქნებოდეს უნდა ამოწურული იყოს ყველა მეთოდი და ღონისძიება საერთო ენის გამოძებნის და საერთო ძირითადი ინტერესების მისაგნებად.

დღევანდელი მდგომარეობა გვკარნახებს, რომ გზა გამარჯვებულ მოკავშირეთა საერთო პოლიტიკას შეუხამოთ. ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროგრამა, ჩვენი სახელმწიფოებრივი მიმართულება უნდა იყოს პრინციპიულად მისაღები, რომ მათთან მუდმივ პრინციპიულ კონფლიქტში არ ვიმყოფებოდეთ. ვიმეორებ, თუ ძველი გზა და პოლიტიკა განვაგრძეთ, ჩვენ ვერც ამ მომენტს განვლით სამშვიდობოთ და თუ ეს განვლეთ, უფრო რთულსა და საბედისწეროს წავაწყდებით. დავაგდოთ გზა მერყეობის და ქანაობის, დავსტოვოთ მეთოდი ბოლშევიკურ რევოლუციონარიზმთან „შაიკობისა" და ამის ნაცვლათ ავიღოთ გზა, მტკიცე და განცდილი გზა რეფორმული, მშვიდობიანი განვითარებისა და საღი ევოლუციური დემოკრატიისა. ამ გზით უფრომიმედიანათ მივატანთ ჩვენი ქვეყნისსაბოლოო სიმტკიცეს.

მთავრობის ცნობები

ათი მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

ს. ჯაფარიძის თანამდებობიდან განთავისუფლება

იუსტიციის მინისტრის ამხანაგი სერგო ჯაფარიძე, თანახმად მისი წერილობითი თხოვნისა, თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქმნა.

სოხუმის ადგილობრივ საჭიროებათათვის

წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს გადაგზავნოს სოხუმის ხაზინაში სათანადო თანხა ადგილობრივ საჭიროებათათვის

ამიერ კავ. უნივერსიტეტის დახმარების შესახებ

მთავრობას სასურველად მიაჩნია ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს დაეხმაროს. წინადადება მიეცეს განათლების მინისტრს წარმოუდგინოს სია იმ პროფესორთა, რომელნიც ამჟამად ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში მოღვაწეობენ.

8 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

ტყვეობიდან დაბრუნებულთათვის

ნება მიეცეს სამხედრო მინისტრს, ტყვედ წაყვანილთა ოჯახთათვის დახმარების აღმოსაჩენად გადადებულ თანხის ნაწილი მოახმაროს თვით ტყვეობიდან დაბრუნებულთ.

სამხედრო სამინისტროსათვის

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილის განკარგულებაში გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 268,558 მან. 19 კ. უწყების 1918 წ. ვალების გასასტუმრებლად.

სამხედრო პირთა დასაკრძალავად.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 20,000 მან. სამხედრო ფონდიდან, მოკლულ სამხედრო პირთა დასაკრძალავათ.

თანამდებობიდან განთავისუფლება.

განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან თბილისის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებელი ან. ა. ვასელინი.

ფოთის ნავთსადგურის ბედი.

1) ფოთის ქალაქის თვითმართველობას, მის თხოვნაზე (ფოთის ნავთსადგურის მის გამგებლობაში გადასვლის შესახებ) უარი ეთქვას.

1) ფოთის ნავთსადგური დარჩეს მთავრობის ხელში და გადავიდეს გზათა სამინისტროს უწყების გამგებლობაში.

სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის.

კანონ-პროექტი სახალხო სკოლის სასწავლებელთათვის 5 წლიანი დამატებების შესახებ მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას.

კავ. რესპუბლიკ. ურთი-ერთ. ვაჭრობისათვის.

პროექტი კავკასიის რესპუბლიკათა შორის სავაჭრო ხელშეკრულებისა მოწონებულ იქმნას და გადაეცეს საბოლოოდ დასამტკიცებლად იუსტიციის მინისტრს.

ჯამაგირების მომატების შესახებ.

პროექტი დეკრეტისა, სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოხელეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მოწონებულ იქმნას ზოგიერთ შესწორებებით.

საქონლის ჭირთან საბრძოლველად:

შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნას კრედიტი — 200,000 მან. საბეითლო უწყების მოხელეთა დროებით შესანახად და საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

შინაგან საქმ. სამინ. ყოფილ მოხელეთათვის.

გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 50,000 მან სამინისტროს ყოფილ მოხელეთათვის სალიკვიდაციო მისაცემად.

—

გადაიდოს მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 200,000 მან. სახელმწიფო მამულების მუშების დასაკმაყოფილებლად.

სათესლე სიმინდი ოზურგეთის მაზრას.

წინადადება მიეცეს სასურსათო საბჭოს გადასცეს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობას 400 ფუთი სიმინდი სათესლეთ. სოფელ ნიაბაურის მცხოვრებთ შორის გასანაწილებლად, იმ პირობით, რომ სიმინდის აღნიშნული რაოდენობა ანაზღაურებულ იქმნება პირველივე მოსავლიდან.

გ. ნათლ. სამინისტროში

საშუალო სკოლათა ტიპი

კვირას, 11 მაისს განათლების სამინისტროს შენობაში მოხდა თათბირი განათლების მინისტრის ამხანაგის ბ-ნ ნოე ცინცაძის თავმჯდომარეობით. ხსენებულ თათბირზე მოწვეულ იყვნენ თბილისის საშუალო სასწავლებელთა დირექტორები და აგრეთვე ცნობილი პედაგოგები. თათბირზე ირჩეოდა საკითხი საშუალო სკოლათა ახალი ტიპის შესამუშავებლად. ხსენებული საკითხის შესახებ განათლების სამინისტროში დიდი ხანია სწარმოებს მუშაობა უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარ-გამგის ბ-ნ გიგო ნათაძის თავმჯდომარეობით. თათბირში მონაწილეობას ღებულობდენ საშუალო სასწავლებელთა დირექტორები, პედაგოგიური საბჭო, მშობელთა წრის, ერობისა და ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენლები. 11 მაისის თათბირმა საჭიროდ სცნო შექმნილ იქმნას ერთიანობა სკოლისა. ამისდამიხედვით უნდა არსებობდეს სამი საფეხური სკოლისა: 1) პირველ-დაწყებითი (დაბალი სკოლები და ეხლანდელ გიმნაზიების მოსამზადებელი განყოფილებანი) 2) უმაღლეს დაწყებითი (ეხლანდელი გიმნაზიების 1—4 კლასი) და 3) გიმნაზიები (ეხლანდელი გიმნაზიები 5— 8 კლასები). თათბირმა საჭიროდ დაინახა აგრეთვე პირველ-დაწყებითი და უმაღლეს დაწყებითი სკოლათა განმგებლობა გადაეცეს ერობათა თვითმართველობებს და სამინისტროს კი მათ მხოლოდ ერთგვარ კონტროლსა და ხელმძღვანელობას გაუწევს. რაც შეეხება გიმნაზიებს, იგი პირდაპირ განათლების სამინისტროს განმგებლობაში იქნება. თათბირმა აირჩია სათანადო კომისიები, რომელნიც ხსენებულ საკითხებს სათანადოთ დაამუშავებენ, რის შემდეგაც განათლების სამინისტრო წარუდგენს დამზადებულ კანონპროექტს მთავრობას განსახილველად. თათბირის აზრით, თუ რაიმე განსაკუთრებული დაბრკოლება ამას წინ არ გადაეღობა, ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. ე. ი. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში.

სამრევლო სკოლების მასწავლებელთა შვილების განთავისუფლება სწავლის ფულისგან.

განსამარტავად „დროებითი დებულების" მე 23-ე მუხლისა, განათლების სამინისტრომ აცნობა საშუალო სკოლებს, რომ ხსენებული მუხლის ძალით სწავლის ფულიდან სასწავლებლებში უნდა განთავისუფლებულ იქნენ შვილები იმ მასწავლებელთა, რომელთაც ყოფილ სამრევლო სკოლებში ათ წელზე მეტი უმსახურნიათ. (აღნიშნული დადგენილება ვრცელდება სალვთო სჯულის ყოფილ მასწავლებელთა შვილებზეც).

სასწავლებლებში სუსტ მოწაფეებთან მეცადინეობის გაგრძელების შესახებ.

თანახმად სამინისტროს ცირკულიარისა (სასწავლო წლის 31 მაისისათვის დასრულების შესახებ; საშუალო სასწავლებელთა დირექტორებმა შუამდგომლობა აღძრეს განათლების სამინისტროს ბინაზე, რათა ნება მისცეთ მასწავლებელთ, სუსტ მოწაფეებთან განაგრძონ მეცადინეობა 1—15 ივნისამდე, როდესაც საბოლოოდ უნდა გამორკვეულ იქნეს მათი შემდეგ კლასში გადაყვანის ან იმავ კლასში დარჩენის საკითხი. სამინისტრო ასეთ შუამდგომლობებს აკმაყოფილებს.

ბათუმში

ბათომის რუსთა ეროვნულ საბჭოში.

ბათომიდან მიღებული ცნობებით, რუსთა ეროვნული საბჭოს ახლად არჩეული თავმჯდომარე ბ-ნი მასლოვი, ყოფილი თავმჯდომარე ბათომის ოლქის მმართველი საბჭოსი, რუსთა ეროვნულ საბჭოს ახალ პრეზიდიუმის არჩევნების დროს გაუშვებიათ. როგორც ვიცით, მმართველი, საბჭოს დათხოვნის შემდეგ ბ-ნი მასლოვი ამ ერთი კვირის წინ იქმნა არჩეული ამ თანამდებობაზედ, გენერალ ტერმენის ნაცვლად.

ბ-ნ მასლოვის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზად ასახელებენ მის დეკლარაციას, რომლითაც იგი გამოსულა თავის არჩევის შემდეგ. ამ დეკლარაციაში იგი ქებით იხსენიებდა ბათომის გენერალ-გუბერნატორს კუკ-კოლისის პოლიტიკას და იწონებდა მისი გამგებლობის დროს მიღებულ ზომებს. მასლოვის დეკლარაციის მოსმენის შემდეგ ეროვნულ საბჭოს მოუთხოვია პრეზიდიუმის ახალი არჩევნების მოხდენა და კენჭის ყრით ბ ნი მასლოვი გაუშვებიათ.

მის მოადგილედ არჩეულ იქმნა ბათომის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ზარინიევი

ქრონიკა

✦ **იტალიის მისიის წარმომადგენელნი დამფუძ. კრების თავმჯდომარესთან** გუშინ დილით იტალიის მისიის წარმომადგენლებმა ინახულეს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძე. მათ სურვილი გამოსთქვეს. ახლო მომავალში დამფუძნებელ კრების სხდომას დაესწრონ.

✦ **ხელოვნების კომისიის სხდომა.** გუშინ შესდგა დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის კრება, კრების საგანით იყო, 26 მაისის დღესასწაულის მოწყობის საკითხი. კრებაზე მიწვეულნი იყვნენ სხვა და სხვა კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

✦ **მესხეთ-ჯავახელთა ლტოლვილთათვის.** მესხეთ-ჯავახელთა დამხმარე კომიტეტმა ქალაქში გუშინ მოაწყო ყულაბებით ფულის შეგროვება.

✦ **საერობო არჩევნები ბორჩალოს მაზრაში.** საერობო არჩევნების ინსტრუქტორი ბორჩალოს მაზრიდან საქარ. პრესბიუროს დეპეშით ატყობინებს, რომ ამომრჩეველთა სიები გამოქვეყნდა 14 მაისს. არჩევნები დანიშნულია 8 ივნისისათვის

✦ **საზ. „შევარდენი"-ს ექსკურსია.** კვირას, მაისის 18-ს ქართული ტანსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი" მცხეთაში, არმაზის მთაზე ექსკურსიას აწყობს. მსურველთ ჩაწერა სწარმოებს „შევარდენი"-ს საზოგადოების ბინაზე ყოველ საღამოს 6—8 საათამდე.

✦ **არამიანცის განთავისუფლება.** 12 მაისს, ღამით, ქალაქის მილიციის უფროსის თანაშემწემ რამდენიმე საეჭვო პირნი დააპატიმრა მათ შორის შოფერი იმ ავტომობილისა, რომლითაც გაიტაცეს არამიანცი. შოფერის ჩვენებით, მილიციის უფროსის თანაშემწე მილიციელთა თანხლებით გაჰყვა კუკიის სასაფლაოს გზას. ამ რაიონში სასტიკი ზომები მიიღეს [illegible] მზრახველთა აღმოსაჩენად. 13 მაისს მილიციის უფროსის მეთაურობით მთელ ნახალოვკაში ჩხრეკა სწარმოებდა, რომლის დროსაც დაატუსაღეს რამდენიმე საეჭვო პირნი და აღმოაჩინეს იარაღებიც. 14 მაისს გათენებისას ბოროტ მოქმედებმა არამიანცი გამოუშვეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ჭრა-კერვის მასწავლებელთა კურსები.** განათლების სამინისტრომ ნება დართო ქუთაისის კორძაიას ქალთა სასწავლებლის გამგეობას გახსნას სასწავლებელთან ჭრა-კერვის კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლად.

✦ **ამერიკის ჯარი ტრაპეზუნდში.** გაზეთ „ამხატავორის" ცნობით ამერიკელებმა ტრაპიზუნდში ჯარები გადმოასხეს.

✦ **კრება.** კვირას, მაისის 25-ს, დღის 12 საათზე, ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა წლიური მორიგი კრების გაგრძელება. განსახილველი საგნები: 1) გამგეობის წარსული წლის მოქმედების ანგარიში. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) გამგეობის მოხსენება აწინდელი სამოქმედო გეგმის შესახებ და სხვა კითხვები.

ბოროტ მოქმედებანი.

✦ **თავდასხმა.** 12 მაისს კაპიტ. შაპიანცის ბინაზე (სიონის შესახვევი № 6) შეიჭრა 2 შეიარაღებული პირი და სიკვდილის მუქარით 50,000 მ. გაიტაცეს.

✦ **ქურდობა.** 12 მაისს, ანდრეევის ქ. 31 № სახლში მცხოვრებ ანდრეევის ბინიდან ბოროტ-მოქმედებმა 10 ათასი მან. სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს

✦ **მღვდლის დატუსაღება.** ოზურგეთიდან გამოგზავნილმა მილიციელმა დუშეთის მაზრაში, დაატუსაღა მღვდ. არ. დონდოლაძე, რომელსაც ოზურგეთის გზაზე ფოსტის გაძარცვაში მონაწილეობა ბრალდება.

თურქესტანის წარმომადგენლებთან

(ინტერვიუ)

თბილისში ჩამოვიდენ თურქესტანის მაჰმადიანთა ავტონომიური მთავრობის წარმომადგენლები, რომელნიც მიემგზავრებიან პარიზის კონფერენციაზე და იქიდან ვაშინგტონში. წარმომადგენლებმა სამშაბათს მაისის 13-ს თურქესტანისა, ბუხარისა, ხივისა, ავღანისტანისა და ინდოეთის შესახებ ინფორმაცია მისცეს თბილელ ჟურნალისტებს.

თურქესტანი

რუსეთის დარღვევის ზეგავლენით 1917 წ. ნოემბრის 28-ს თურქესტანში შესდგა სართების და ყირგიზების ავტონომიური მმართველობა ფედერატიულ საფუძველზე რუსეთის ფარგლებში დარჩენით ამ მთავრობას თურქესტანის ტერიტორიაზე ეკუთვნოდა ყველა სამმართველო ფუნქციები რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდი. ხსენებულ მთავრობის დროს თურქესტანის მხარე საკუთარ ცხოვრებას და გათვითცნობიერებას იწყებდა. აი, ამ მომენტში თურქესტანს შეესია ლენინის წითელი ლაშქარი და მხარე გაპარტახებას მისცა.

ბოლშევიკების დესპოტობა.

თურქესტანში ბოლშევიკებს მომხრე არავინ ჰყავდათ, შემოსვლისთანავე მათ დაიწყეს დევნა თურქესტანის ცნობილ მოღვაწეებს, მათი უმთავრესი ძალა ტყვე გადიარებისგან და მოსულ ელემენტებისგან შესდგებოდა. სართები და ყირგიზები განზე გადგნენ და საბჭოთა მთავრობას არ სცნობენ, რის გამოც ბოლშევიკებმა ისინი უსასტიკესად დასაჯეს. ხალხს შეუკრეს ყველა გზები და დაამშიეს. „სოვდეპია" პურს არ აძლევდა თურქესტანს, სიმშილი სცელავდა სართებს და ყირგიზებს. კოლესოვი, ბოლშევიკების კომისარი, აცხადებდა, რომ დაიხოცონ ყველანი ის ერთ ფუთ პურსაც არ მისცემს არა ბოლშევიკ თურქესტანელებს, შიმშილმა ერთი მილიონი სიცოცხლე შეიწირა. ბოლოს ნაწილი სართებისა და ყირგიზებისა იწყებს კომუნისტობას და მემარცხენე ესერობას, ეს ბოლშევიკებს ძალიან ახარებს და ამ ნაწილს პურსაც აძლევდნენ.

ტაშკენტის ქუჩებში იდგა ხალხი და კვნესოდა „ნანი" (პური) ისე გაამწარა მაჰმადიანობა სიმშილმა, რომ ისინი ბოლშევიკებისაგან დაკლულ ღორების ძვლებს ტკვეროდენ. ხალხი დაავადმყოფდა, ერთხელ ათას ას ვერსზე წავიდენ პურის საყიდლად, მაგრამ ბოლშევიკებმა ნაცემ ყველა ხელცარიელი უკან გამოაბრუნეს. თურქესტანის ქრონიკული დამშევა სხვათა შორის გამოწვეულია იმით, რომ ეს

მხარე, როგორც ცნობილია მებამბეობას მისდევს, მას მშვიდობიანობის დროს ყოველ წლიურად სჭირდებოდა 33 მილიონი ფუთი რუსეთის პური. დაილუპა მებამბეობაც. მაჰმადიანთა მასა აბუჩად არის აგდებული. მე-7 ყრილობაზე იგი მხოლოდ 5 ხმით იყო წარმოდგენილი, იმ დროს, როდესაც 250 კაცისაგან შემდგარ ტაშკენტის გარნიზონს ჰყავდა 26 კაცი.

კონსპირატიულად მუშაობენ მაჰმადიანური ორგანიზაციები, ისინი აღვიძებენ ხალხს და ამზადებენ თავის დასაცავად.

სახალხო საბჭო (თურქესტანისა) იმ აზრის ადგია, რომ თურქესტანი ავტონომიურ მმართველობად უნდა დარჩეს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ფარგლებში.

ინტელიგენცია.

სართების და ყირგიზების ინტელიგენცია ბოლშევიკების წყალობით ჩამოშორებულია ყოველგვარ საქმიანობას სახელმწიფოებრივ დარგებში. ინტელიგენცია ამ ჟამად მაჰმადიანურ მასის-გამ ასაფხიზლებლად საიდუმლო მუშაობას აწარმოებს ინტელიგენციის მოწამეთ—ეროვნული თვით მმართველობა.

კულტურის გამავრცელებელნი

წითელ ტერორთან ერთად კომუნისტებმა ქ. ტაშკენტში მოაწყეს 75 პირ. დაწყ. სკოლა სამასწ. კურსები, 10 საბავშვო ბაღი და სახალხო კონსერვატორია.

ცხოვრება თურქესტანში.

მოკლე ხანში ეს მხარე კომუნისტებმა ჯოჯოხეთს დაამსგავსეს კერძო ვაჭრობა და დაქირავებული შრომა მოსპეს, მაჰმადიანთა სამღვდელოებას დევნა დაუწყეს, მათ მოსვლას მოჰყვა აგრეთვე საზღაპრო სიძვირე. გარდა მაჰმადიანობისა რუსობაც უაღრესად გამწარებულია ბოლშევიკებისაგან, ელექტრონის სისწრაფით მუშაობს „საგანგებო კომისიები“, რომლებიც დამნაშავეთა დახვრეტას ვერ ასწრობენ.

აჯანყება.

იანვრის 18-ს ბოლშევიკებს აუჯანყდა მათივე სამხედრო საქმეთა კომისარი კობელხოვი, რომელმაც დაიჭირა მთავრობის წევრები მომხრებსაც შოულობდა, მაგრამ ბოლოს იგი სასტიკად დამარცხა ერთმა ბოლშევიკების სარდალმა. კობელხოვი გაიქცა და თან წაიღო ნიკოლოზის ფული 8 მილ. კერენსკის 11 მილ. საბჭოთა 18 მილ. და რამდენიმე გირვანქა ოქრო. მთავრობამ საშინელი სიმხეცე გამოიჩინა აჯანყების ჩაქრობაში, ჯერ მხოლოდ 4000 კაცი წამებით მოკლეს.

სადამდე ვრცელდება ბოლშევიკების მთავრობა.

სეგიარეჩინის ოლქში ბოლშევიკებს ყაზახობა და კოლჩაკის ჯარი ებრძვის, სიროდარიაში კი ისინი ბატონობენ მხოლოდ ქალაქებში, სოფლებში, პარტიზანულმა რაზმებმა ისინი არ შეუშვა.

მებამბეებს ხელს უწყობენ.

ბოლშევიკები დიდის ყურადღებით ეპყრობიან გაბოლშევიკებულ თურქესტანელებს. „დესტინა“ ბამბის დათესვისთვის ისინი აძლევენ 5000 მან. სესხს, თესლს და აგრეთვე ნებასა რთავენ დაქირავებული შრომით ისარგებლონ.

დამოკიდებულება კოლჩაკთან

წარმომადგენლის სიტყვით თურქესტანის ავტონომიურ მთავრობას კოლჩაკთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს. ის მას ვერც იცნობა, „ჩვენი მიზანია“ განაცხადა მან „თურქესტანის დამფუძნებელ კრების მოწვევა ხოლო ამავე დროს ფედერატიული თურქესტანი ხელს არ შეუშლის სხვა ერების ეროვნულ თვითგამორკვევას. მანამდის კი სანამ რუსეთში შესდგებოდეს საერთო ფედერატიული მთავრობა, თურქესტანი დამოუკიდებლად უნდა მოეწყოს“.

ბუხარა.

ბუხარაში ემირის მთავრობა, რომელიც მეტად მობეზრდა ხალხს თავის სიძვილით და სიბნელით ბუხარაში ძლიერდება მოძრაობა ეგრედ წოდებულ ახალ-გაზრდა ბუხარელებისა, რომელთაც ბოლშევიკები ყოველმხრით ხელს უწყობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთ ბოლშევიზმთან არაფერი საერთო არა აქვთ. ახალგაზრდა ბუხარელების უახლოესი მიზანია დღევანდელ ემირის გადმოგდება და კონსტიტუციურ მონარქიის შემოღება.

ხივა.

ხივის-ხანის მოკვლის შემდეგ ხივაში მდგომარეობა შერყეულია, ჯერ ჯერობით იქ გადიქტატორდა ცნობილი ჯაჰილი თეიგუდ-ჯუმიდი. რომელმაც ხივიდან მიმავალი ბოლშევიკთა ერთი ჯარი სრულიად გაანადგურა. ბოლშევიკები ჟამს არ ჰკარგავენ და კვლავ ჰგზავნიან აგიტატორებს ხივაში. უკანასკნელ დროს ბოლშევიკებმა ხივაში გაჰგზავნეს პროპაგანდისთვის ოსმალო კაპიტანი.

ავღანისტანი.

ავღანისტანში ამა წლის თებერვალს მოჰკლეს ავღანისტანის ხანი, მას შემდეგ იქ არეულობაა.

ხალხი ორ მებრძოლ ბანაკად გაიყო პირველი ანგლოფილობს, მეორეს სულისკვეთება ავღანისტანას სუვერენობის დაცვა და ყველგან მტკიცე ეროვნულ პოლიტიკის გატარება არის. ეს მეორე მიმდინარეობა არავის ორიენტაციას არ იღებს, „მისი ორიენტაცია ამ ავღანისტანის სახელმწიფოებრივობის დაცვაა. გამარჯვება ხვდა ამ მეორე მიმდინარეობას. ავღანისტანში კლასობრივი ბრძოლა, კლასთა დაყოფა არ არსებობს. ახალმა ხანმა ყველა პოლიტიკურებისადმი ამნისტია გამოსცა და იგივე ჰპირდება თავის მანიფესტში კონსტიტუციურ მმართველობის შემოღებას.

ახლო წარსულში ავღანისტანში დიდი ბრძოლები მოხდა ზემო დასახელებულ ორ მიმდინარეობათა შორის. ინგლისი ორივე მხარისადმი პასიურად იქცეოდა და ახლაც, როცა მის მომხრეთა მიმართულება დაიმხო, იგი დაცდით პოზიციას იკავებს. თურქესტანს განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა ავღანისტანთან, მაგრამ ბოლშევიკების შემოსვლამ ეს ურთიერთობა ნაწილობრივ მოსპო. ბოლშევიკები ავღანისტანს თავის წილ ლუკმასავით უყურებენ და ხშირად ჰგზავნიან იქ აგიტატორებს.

ინდოეთი.

ინდოეთის უმთავრეს ქალაქებში (დელი, ბომბეი, ახმედა-ავადი და სხვა) აპრილში, უცხოელმა აგიტატორებმა (ანარქისტების სახით) გამოიწვიეს დიდი არეულობა. აჯანყებულები აგროვებდენ იარაღს და მეტროპოლიის ჯარს თავს ესხმოდნენ. ინგლისელებმა სასტიკი სიმკაცრით ჩააქრეს ამბოხება და გენერალ-გუბერნატორმა თავის მოხსენებაში სთქვა: „ყველა მცხოვრებთა ბედი დამოკიდებულია პისაევის (პოლიციის უფროსი) პოლიციაზეო“. ინდოელებმა ნიშნად პროტესტისა, ერთი დღით საერთო მარხვა გამოაცხადეს და ყველა სავაჭროები დაჰკეტეს. მეამბოხეებმა სამშობლოში მომავალი კოლონიის ჯარი გააჩერეს და მეტროპოლიის საწინააღმდეგოდ ომი მოსთხოვეს ინგლისელთა აზრით, ყველაფერი ეს მოხდა გერმანელი აგენტების მუშაობით.

ინგლისის საწინააღმდეგო მუშაობა.

წითელი მოსკოვი, გერმანეთი და ოსმალეთი ენერგიულად მუშაობენ, რომ ინგლისს ინდოეთში გზა მოუჭრან. დიდი ხანია სამაჰმადიანო ქვეყნებში დადიან მთელი წყება ბოლშევიკთა და გერმანელ ოსმალეთის მქადაგებლებისა

ჯერ კიდევ ომის წინ გერმანეთმა ავღანისტანში გამოჰგზავნა სამუშაოდ მავლევი-მეხმედ თულა. ამ ბოლო დროს გერმანელ-რუსების უხუცესმა აგიტატორებმა მოწოდება დასტამბეს გაზ. „იშტრაკიუნდი“-ს № 82-ში (კომუნისტი) მოწოდება იგი მიმართულია სრულიად აზიის მაჰმადიან ხალხებისადმი და შიგ ნათქვამია: „ყველა ხალხთა თავისუფლების მტერმა ინგლისმა ხელში ჩაიგდო მუსულმანთა წმიდათა წმიდა ადგილები მექა, მედინა, იერუსალიმი, სირია და დაამცირა ჩვენი ხალიფი ოსმალეთში. ინგლისმა უარჰყო ვილსონის პუნქტები და ყველას დამონებას უპირებს. შემოკრბით აზიის მართლმორწმუნენო ისლამის დაუძინებელ მტრის გასადევნად და ოსმალეთის გასანთავისუფლებლად“.

მოწოდებაში მოხსენებულია, ვითომც ინგლისში რევოლუციამ იფეთქა.

მოწოდების ერთი ავტორთაგანი ლენინმა დაიბარა ახალ კონსტრუქციების მისაღებად.

მაჰმადიანთა მასა ბოლშევიზმის საშუალებით პანისლამიზმისთვის იბრძვის

ი. დიდიძე

დამოუკიდებლობის დღესასწაულისთვის

(ოცდაექვსი მაისობა)

ქართველი დემოკრატია ოცდაექვს მაისს დამოუკიდებლობის მოპოვებას დღესასწაულობს. ამიტომ მართებულია რომ გარეგნულ გამოხატულების მხრივ ამ დღესასწაულს ეროვნული კოლორიტი ჰქონდეს. კიდევ მეტი: სასურველია, რომ პროვინცია არ წაბაძოს ცენტრში მიღებულ პროგრამას და რამდენადაც შესაძლებელია დღესასწაულში მეტი ლოკალური ელფერი შეიტანოს. ეს დღე უწინარეს ყოვლისა თვალისა და სმენის ლხინი უნდა იყოს. თვითეულმა კუთხემ, თვითეულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა საზოგადოებამ უშუალო ავტონომიური შემოქმედება უნდა გამოიჩინოს. არც ერთ ქართველს არ ეკრძალება, რასაკვირველია, თავისი ფანტაზიისა და მხატვრული ნიჭის ნაყოფი შეიტანოს დიდ დღესასწაულში და თავისებურად გამოჰხატოს იმედი და აღფრთოვანება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე განიცდის.

ქართველ ხალხს აქვს კიდევ მეტყველი ფორმები და გულუბრყვილო სიმბოლოები რომლენიც მისი პათოსისა ან კომიზმის გრძნობას შეეფერებიან: ასეთია მაგალითად ყეენობა, ბერიკაობა, ლამპრობა, ფარიკაობა, შაირობა, ჯირითი, ბურთაობა და სხვ.: ადგილობრივ ტრადიციების მიხედვით ოცდა-ექვსი მაისისთვის ადვილად შეიძლება ამ ფორმების ნაწილობრივ ან სავსების აღდგენა.

თავის-თავად ცხადია, რომ არც ხელოვნების კომისიას, არც სხვა რაიმე ოფიციალურ დაწესებულებას არ ძალუძს ისეთი დღესასწაულის შექმნა, სადაც მთელი ერის ფანტაზიისა და გრძნობიერობის ამოძრავებაა საჭირო, ხელოვნების კომისია დარწმუნებული არის, რომ როგორც თბილისსა ისე პროვინციაში ერობანი, თვითმმართველობანი და კულტურული საზოგადოებანი თვითმოქმედებას გამოიჩენენ და დღესასწაულს ხელმძღვანელობას გაუწევენ, ამიტომ ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პროგრამას უნდა შევხედოთ როგორც უბრალო სქემას, რომელმაც თვით დედაქალაქში ახალი ფერადები უნდა შეიძინოს, ხოლო პროვინციაში შეიძლება სრულიად ახალი სახე მიიღოს.

ხელოვნების კომისიის განზრახვით სანახაობისათვის იქნება ერთი ცენტრალური ადგილი, რომელმაც ხალხის მთავარი ყურადღება უნდა მიიპყროს. ეს იქნება გაშლილი სარბიელი ანუ სტადიონი ვაკეზე (სემინარიის გვერდით), რომელსაც ასი საჟენი სიგრძე და 50 საჟენი სიგანე ექნება გარდა სავარჯიშო ასპარეზისა ეს სარბიელი შეიცავს ამაღლებულ ადგილს სადაც გუნდი და ორკესტრი ეროვნულ ჰიმნისა, ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებსა და ხალხურ სიმღერებს შეასრულებს: შემდეგ მუსიკის აკომპანიმენტი გაიმართება ტანვარჯიშობა და შეჯიბრება. (გაქცევა, ჰიდაობა და სხ.), რომელშიც დაახლოვებით 200 კაცი მიიღებს მონაწილეობას; მონაწილეები ფერად ტანსაცმელში იქნებიან გამოწყობილნი. გამარჯვებულები ჯილდოთ მიიღებენ დაფნის და ზეთის ხილის გვირგვინებს. მაყურებელთათვის შემოფარგლული იქნება ამფითეატრისებური ფერდობი, რომელიც ას ათას კაცამდე დაიტევს.

როგორც მონაწილეები ისე მაყურებლები დილით განსაზღვრულ საათისთვის თავს მოიყრიან წინასწარ დანიშნულ პუნქტებში, რათა აქედან მწყობრი პროცესიებით გაემგზავრებიან ცენტრალურ ადგილისაკენ. მთავარი კორტეჟი ერევნის მოედნიდან დაიწყება და გოლოვინის პროსპექტით გაემართება. კორტეჟს წინ გაუძღვება ორკესტრი, შემდეგ ყვავილებით შემკობილ ავტომობილზე ან ეტლზე იქნება მეთაური სიმბოლიური ფიგურა, ახალგაზრდა ქალი, ფრიგიული ქუდითა და ანთებულ ლამპრით, რომელიც რევოლუციის გამარჯვებას გამოჰხატავს. მეორე ჯგუფი წარმოადგენს შუბითა და ფარით აღჭურვილ ქალს და გვარდიელსა და ჯარისკაცს, დაფნის გვირგვინებით შემკობილს და საომარ ატრიბუტებით გარემოცულს. ეს იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო. მას მიჰყვება პროვინციულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ცხენოსან ვაჟკაცების კავალკადა, რაიცა საქართველოს გაერთიანებას და პროვინციების თანხმობას გამოჰხატავს. სიმბოლიური ფიგურების კორტეჟი დამთავრდება თეთრსამოსიანი ახალგაზრდა ქალების ჯგუფით რომელიც ყვავილების გირლიანდებითა, ხილის კალათებითა და და სურებით მუდმივი განახლებისა და ნაყოფიერების იდეას განასახიერებენ. მათ მოჰყვებიან პროფესიონალურ კავშირებისა და ამქრების წარმომადგენლები, რომელნიც დროშებითა და ხელობის შესაფერი ხელსაწყობით იქნებიან აღჭურვილნი.

ხელოვნების კომისია მოუწოდებს სახლის პატრონებსა ამ დღისთვის აივანი და კედლები ყვავილებითა, ბაირაღებითა და ხალიჩებით შეამკოს. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული უნდა იყოს. ამის გარდა სასურველია. რომ თბილისის მეზობლად მცხოვრები სოფლელები ურმითა და სანოვაგით ჩამოვიდნენ ქალაქში, როგორც საეკლესიო დღეობისთვის სჩვევიათ. მედუქნეებს უფლება აქვთ ამ დღისთვის ვაკეზე ფანჩატურები აავონ ან ხელზე ვაჭრობა გამართონ.

დამფუძნებელ კრების **ხელოვნების კომისია.**

წერილი რედ. მიმართ

რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი გთხოვსთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი განცხადება მოგვითავსოთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-სა და გაზეთ „საქართველო“-ში მოთავსებული იყო სიღნაღის სამაზრო კომიტეტის ხელმოწერით განცხადება, თითქოს პარტიის აღნიშნულ სამაზრო კომიტეტს გადაეყენებინოს პარტიის მთავარი კომიტეტი და განეზრახოს 18 მაისისათვის დამფუძნებელ კონფერენციის მოწვევა ქ. სიღნაღში.

მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ აღნიშნული განცხადება არის სამაზრო კომიტეტის ზოგიერთ უპასუხისმგებლო და შეუგნებელ წევრების მოქმედების შედეგი და კომიტეტის წევრთა უმრავლესობას ამ განცხადებასთან საერთო არაფერი არა აქვთ. აღნიშნულ უპასუხისმგებლო წევრებს ხელმძღვანელობს სიღნაღის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ბ-ნი კ. ტყავაძე, რომელიც კომიტეტის პასუხისმგებლად აქტიურ მომუშავეთა წევრების მოთხოვნით მარტში პარტიულმა კონფერენციამ, ერთხმად გადააყენა სიღნაღის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან და პარტიიდანაც გამორიცხა.

ამასთან ერთად მთავარი კომიტეტი პარტიულ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დაწვრილებითი ცნობებს ამ საკითხის შესახებ კომიტეტი მოათავსებს გაზ „რადიკალ“-ში, რომელიც ამ ახლო ხანში გამოვა.

რად. დემ, პარტიის მთავ. კომიტეტი

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

14 მაისი.

გერმანული პრესა.

შვედური პრესა და საზავო პირობები

მოკავშირეთა მიერ ვერსალში წარმოდგენილ საზავო პირობების შესახებ შვედური გაზეთი „პოლიტიკენი“ სწერს: ისეთი სინამდვილის წინაშე ვდგევართ, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ვილსონის და ხალხთა ლიგის იდეალებს ზავის პირობები ყოველივე უსამართლობას და უსირცხვილობას აღემატება და ტიპიური კაპიტალისტური ზავია. ამ ზავს შედეგათ არაფერი მოჰყვება გარდა იმისა, რომ შექმნის ომის მუდმივ საფრთხეს და უკმაყოფილებას მუშათა შორის, რადგანაც საზავო პირობები ისეა შედგენილი თითქოს პროლეტარიატი სრულებით არ არსებობდეს.

გერმანიის ბირჟაზე

ვერსალის საზავო პირობებმა კომერციულ და ფინანსიურ წრეებში და ბირჟაზე რყევა გამოიწვიეს. გერმანიის ბირჟაზე მიუნქენის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ კურსის ზრდა დაეტყო, ეხლა მოულოდნელათ ისევ ეცემა მას შემდეგ, რაც საზავო პირობების შესახებ პირველი ცნობები მოვიდა. რამდენიც უფრო მეტი ცნობები მოდის ვერსალის საზავო პირობათა შესახებ, იმდენი კურსი უფრო დაბლა იწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნეიტრალურ ქვეყნების კომერციულ წრეებს არა სჯერა, რომ გერმანიაში ნორმალური კომერციული ცხოვრება აღდგეს, თუ გერმანია ვერსალის საზავო პირობებს მიიღებს.

ეროვნული ყრილობა

კვირას შესდგა გერმანიის ეროვნული ყრილობის სხდომა. რომელზედაც ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საზავო პირობები იმ სახით, როგორიც ვერსალში წარმოადგინეს შეუსრულებელი და მიუღებელია. დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც განსაკუთრებითაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ საზავო პირობები დროებითი შერიგების დროს მიცემულ სიტყვას არღვევს. პირობები არ შეიცავენ დაპირებულ თვითგამორკვევის უფლებას, ვაჭრობის თავისუფლებას და მიუდგომელ სამართლიანობას.

რაშდაუს განცხადება.

ყოფილი ელჩი რაშდაუ საზავო პირობების შესახებ ამბობს, რომ ის არ არის ზავის პირობები და აცხადებს, რომ ასეთი პირობები ვერ შექმნიან ზავს და ყოველ შემთხვევაში ისეთ ზავს, რომელიც ვილსონის პროგრამიდან გამომდინარეობდეს. შემდეგ მას მოყავს სტატისტიკური ცნობები; მაგალითად ტიროლში იტალიელები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ ტიროლში გერმანელები უმცირესობას შეადგენენ, ნამდვილათ კი ზოგან გერმანელები არამც თუ უმრავლესობას შეადგენენ, არამედ მთელი სოფლები მხოლოდ გერმანელებითაა დასახლებული ისევე, როგორც მაგალითად, სალიურნის სამხრეთით მდებარე ადგილები განსაკუთრებით იტალიელებითაა დასახლებული.

ფაქტებს ამახინჯებენ და თუ პარიზის კონფერენცია თავის დასკვნებს ასეთ სიყალბეზე ააგებს. ეს დიდ გაუგებრობას გამოიწვევს.

გერმანიის წარმომადგენელნი.

გერმანიის ვაჭართა კავშირის ცნობილი ბელადი ლეგიუნი ვერსალიდან ბერლინში გაემგზავრა. ცნობებია რომ ბერლინში მიემგზავრებიან აგრეთვე მინისტრები გიესბერგი და ლანსბერგი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თათბირში. ჯერ არ იციან, რამდენი ხანი დარჩებიან ისინი ბერლინში.

გერმანიის ნოტა.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეთა კომისიას სპაში 4 ნოტა გაუგზავნა, პირველი—თებერვლის შუა რიცხვებში, უკანასკნელი მაისის 3. ამ ნოტებში მოკავშირეებს ნებართვას სთხოვენ ლიბავიდან რიგაში ერთი გემი გაგზავნონ, რათა რიგაში მყოფი გერმანელები და სხვა დაჭირვებულნი ჩამოიყვანონ. მოკავშირეებმა არც ერთ ნოტაზე პასუხი არ გასცეს. გერმანიის მთავრობას რის გამოც უკანასკნელის ბრალი არაა, რომ ეს ხალხი იტანჯება.

ფრანგული პრესა

საფრანგეთის ახალი ახალშენები

საზავო ხელშეკრულების ძალით ახალშენები ტოგო და ქამერონი საფრანგეთის ხელში გადადის იმ პირობით, თუ საფრანგეთი ინგლისს შეუთანხმდება ამის შესახებ. ამ შეთანხმების თანახმად უკვე შეიმუშავეს ინგლის საფრანგეთის საზღვრების ხაზი, რომელიც მთის ქედის გასწვრივ მიდის ჩადომდე, ავალის ახლო, რკინის გზები საფრანგეთის ხელში გადადის. ტოგოს შესახებ ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა.

ბროკდორფის წერილები

კლემანსოსადმი მოწერილ წერილში ბროკდორფმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ხელშეკრულების ზოგი პირობები გერმანიის ხალხისთვის მიუღებელია და ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლათ დაედო დროებითი ზავს. კლემანსომ ყველა მოკავშირეს სახელით უპასუხა, რომ ისინი ამ საკითხის განხილვას არ შეუდგებიან. საზავო პირობები იმ სახით, როგორც შეიმუშავეს კონფერენციის წევრებმა, რომელთაც არას დროს არ დავიწყებიათ ის პრინციპები. რომელიც საფუძვლად დაედო საზავო მოლაპარაკებას და დროებით ზავის შეკვრას.

მეორე წერილში ბროკდორფმა გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანიის წინადადებას აძლევენ ხელი მოაწეროს ასეთ ზავს, რომელშიაც ხალხთა ლიგის პირობებიც შედის მაშინ, როდესაც გერმანიას არ მისცეს ლიგაში შესვლის წინადადება ბოლოს ბროკდორფი აცნობებს გერმანიის საპასუხო პირობებს. კლემანსომ უპასუხა, რომ გერმანული ტექსტი კომისიას გაეგზავნება და რაც შეეხება ლიგას, ახალი წევრების მიღება ყოველთვის შეიძლება. რაც ნათლადაა ნათქვამი ხელშეკრულებაში. ამის შესახებ დართულ მუხლში ნათქვამია, რომ ახალ წევრის მიღება ლიგის ყრილობის 2-მესამედის თანხმობას მოითხოვს. ამ საშუალებით შეიძლება იმის გარანტია, რომ გერმანია პირნათლად შეასრულებს მიღებულ ვალდებულებას და აგრეთვე იმ პირობებს, რომელიც ლიგის წევრთა სამხედრო და საზღვაო ძალებს შეეხება.

ავსტრიის საზღვრები.

ხუთმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დაამთავრა ავსტრიის საზღვრების შემუშავება.

ოთხთა პასუხი ბროკდორფ-რანტცაუს.

მთავრობათა თავმჯდომარეებმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა, კლემანსომ და ორლანდომ ორშაბათს დილით ითათბირეს და შეიმუშავეს პასუხი, რომელიც უნდა მისცენ ბროკდორფ-რანტცაუს ორ ნოტაზე, რომელიც მათათ საღამოთი წარმოადგენის. პირველი ნოტა შეეხება შრომის საერთაშორისო დაკანონებას გერმანიაში, მეორე სამხედრო ტყვე გერმანელებისადმი მოპყრობას.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. ყრილობის და საბჭოს გადაწყვეტილება ყოველ შემთხვევაში ერთხმად უნდა იქნეს მიღებული, გარდა ხელშეკრულებაში გამოტოვებულისა. ეროვნული შეიარაღება შეზღუდული იქნება მინიმუმით, ეროვნულ თავდაცვის საჭიროებისათვის. მონაწილენი ერთი მეორის გარეშე მტრის თავდასხმის გარანტიას აძლევენ, ეხლანდელ ტერიტორიალურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ. არ უნდა მიმართონ ომს განსაზღვრულ ვადამდე. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მიღებულ ვალდებულობას მიუხედავათ, ომის დამწყები ლიგის წევრი, დანარჩენ მონაწილეთა წინააღმდეგ, მებრძოლათ ითვლება და სპობს ყოველივე სავაჭრო და საფინანსო დამოკიდებულებას და შეიარაღებულ ძალის შექმნას უწყობს ხელს, რომელიც უზრუნველყოფს ლიგის დადგენილების პ ტივისცემას ყველა ხელშეკრულების რეგისტრაციას მდივანი ახდენს. ყველა წინათ დადებული ხელშეკრულება, რომელიც ვერ შეთანხმდება ლიგის ხელშეკრულებას, უნდა გაუთანასწორდეს მას. იმ ახალშენებში რომლებიც ომის წყალობით აღარ არიან მეომარ სახელმწიფოების ბატონობის ქვეშ, ლიგა შრომის პირობების ასრულებას ახალშენების ადგილობრივ მცხოვრებისადმი მოპყრობას სავაჭრო საქმეებს და სხვ. იარაღით ვაჭრობას, თავისუფლათ მიმოსვლის და ტრანზიტის, სნეულებასთან ბრძოლა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის გაფართოებას თვალყურს ადევნებს. ევროპის პოლიტიკური შეთანხმებები და 1889 წლის ხელშეკრულება ბელგიის, ჰოლანდიის და მოკავშირე სახელმწიფოების შეთანხმებებით შეიცვლება. გერმანია აღიარებს ამ შეთანხმებას... (შემდეგ დამახინჯებულია). გერმანია ჰკარგავს უფლებას რეინის მარცხენა მხარეზე და რეინის აღმოსავლეთ 50 კილომ. ზონაზე ჯარის და სიმაგრეთა შენახვისას. გერმანია საარის ოლქის ქვა-ნახშირის მაღაროებს კონცესიონიურსაც და არა კონცესიონიურსაც, მოსამსახურეთა ყველა საცხოვრებელ შენობეეით (ზემოთაც და თვით მაღაროებში) საფრანგეთს უთმობს. საარის ტერიტორიას მართავს 5 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ლიგის საბჭო დანიშნავს, და რომელშიც შევა საარის მცხოვრებთაგან ერთი ფრანგი. კომისიის გაგეება, რომელსაც ხალხთა ლიგის 5 წევრისაგან აირჩევენ, იქნება კომისიის აღმასრულებელი აგენტი, რომელსაც ისეთი უფლება ექნება, როგორც გერმანიას, პრუსიას და ბავარიას ამ ტერიტორიაზე ეკუთვნოდა. ტერიტორია დაემორჩილება საფრანგეთის საგადასახადო რეჟიმს და 15 წლის შემდეგ ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს ხმას მისცემენ საფრანგეთთან ან გერმანიასთან კავშირის შენარჩუნების სასარგებლოდ. ლია ანგარიშ გაუწევს მცხოვრებთა ხმის მიცემას და საბოლოო რეჟიმს დააწესებს. ის ტერიტორიები, რომლებიც საფრანგეთს 1871 წელს ჩამოშორდა და 1918 წლის ნოემბრის 11 საფრანგეთის სუვერენიტეტის ქვეშმყოფად ჩაითვლება. ელზას-ლორენის ტერიტორია ყოველ ვალდებულებათა გარეშე საფრანგეთს გადაეცემა გერმანიის სახელმწიფო ქონება საფრანგეთს უსასყიდლოდ გადაეცემა. საფრანგეთი შეკრებს გადასახადებს, რომელიც 1918 წლის ნოემბრის 1-დან უნდა შეკრებილიყო. საფრანგეთი გერმანიიდან გადმოსახლებულთა ქონების კონფისკაციას მოახდენს და გერმანიას მათი ზარალის ანაზღაურებას მოსთხოვს. გერმანია აბრუნებს მცხოვრებლებთაგან ჯარიმის სახით აღებულ ჯარიმას. გერმანია იხდის სამხედრო და სამოქალაქო 1918 წლის ნოემბრის 11-მდე პენსიებს რეინზე ყველა ხიდები და ყველა კონცესიის უფლებები ელზას-ლორენის რკინის გზებზე საფრანგეთის ხელში უფასოდ გადადის. გერმანია ჩეხო-სლოვაკების და იმ სახელმწიფოების საზღვრების, რომელიც მოკავშირეებმა დააწესეს, სრულ დამოუკიდებლობას აღიარებს. გერმანია პოლონეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთმობს ტერიტორიას, რომელიც ბალტიის ზღვით განისაზღვრება აღმოსავლეთ-პოლონეთის საზღვრამდე, და ძველ ავსტრია-გერმანია და პრუსია გერმანიის საზღვარის, ნემანამდე, აღმოსავლეთ პრუსიის სამხრეთ საზღვრის განსაზღვრულ ზონამდე. მცხოვრებნი ხმას მისცემენ—თუ რომელ სახელმწიფოსთან სურთ დაკავშირება. გერმანია ბალტიის და აღმოსავლეთ-პრუსიის და ძველ რუსეთ-გერმანიის საზღვარ შუა მდებარე ტერიტორიას ჰკარგავს. გერმანია უარს აცხადებს (გამოტოვებულია) მოკავშირე სახელმწიფოების სასარგებლოდ იმ ტერიტორიებზე, რომელიც თავისუფალ ქალაქ დანციგის შემადგენლობაში შედის. ჰოლანდიის სამხედრო ნავთსადგურის შენობები განადგურდება მოკავშირეთა ზედამხედველობით და გერმანიის ხარჯზე გერმანია აღიარებს და სავსებით პატივს სცემს იმ ტერიტორიების დამოუკიდებლობას, რომელიც წინად რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა, ბრესტლიტოვსკის ზავს და ყველა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, რომელიც კი ბოლშევიკურ მთავრობასთან არის დადებული, საბოლოოდ უარჰყოფს. მოკავშირე სახელმწიფოები რუსეთს უტოვებენ უფლებას გერმანიისაგან მიიღოს ყველა ზარალები და განადგურებულის ანაზღაურება.

მოსკოვი. მაისის 11. მოსკოვის გაზეთების უკანასკნელი ნომრები ვერსალის ზავის შესახებ შემდეგს სწერენ: თავი დაანებეს ხალხთა კეთილ დღეობაზე და ერთა თვით-გამორკვევაზე უაზრო ლაპარაკს, რომლითაც თავი მოსწონდა ვილსონს. „პრავდა“ სწერს სოციალურ რევოლიუცია, რომელიც ვილსონს, კლემანსოს და შეიდემანს გაანადგურებს ეს ხალხოსნური მოძრაობაა. გერმანიის პროლეტარიატს არ აქვს საბუთი სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს თავის მომავალის შესახებ „ვეჩერნია-იზვესტია“ შეიდემანის მთავრობის დაღუპვის აუცილებლობას მოელის ზავის ხელის მოწერა ნიშნავს სასიკვდილო განაჩენის ხელის მოწერას. იმ ზავთან შედარებით, რომელიც მოკავშირეები გერმანიას აძლევენ, ბრესტლიტოვსკის ზავი ისეთი ხუმრობა იყო, რომელსაც ვნების მოტანა არ შეეძლო. გერმანიას სჭრიან ყოველ მხრივ უვიწროვებენ საზღვრებს, 150 მილიარდ კონტრიბუციას ადებენ. ყველაზე უმთავრესი ისაა, რომ გერმანიას აიძულებენ ისეთ პირობებში მოაწეროს ხელი ზავს, რომელიც ჯერ არ გამომუშავებულა. გერმანიამ უნდა გადასცეს თავის ხელმოწერილი ბლანკი, რომელზედაც ისინი დასწერენ მას, რასაც მათ გონება გაუჭრისთ. შეიდემანის მთავრობა ისეთ მდგომარეობაში ვარდება, საიდანაც გამოსავალი არ არის. მან თვით უნდა დააზიანოს თავისი თავი სასიკვდილოთ.

სამხედრო ცნობა. მაისის 10. სამხრეთის ფრონტი. იუზოვკის და ბახმუტის რაიონებში ვოლნოვსკენ დავიხიეთ. ჩრდილოეთის ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. დებალცევის სამხრეთით 15 ვერსზე რამოდენიმე სოფელი და სადგური შიგლოვკა დავიჭირეთ. აღმოსავლეთით ჩვენ სადგ. ფასტოვკა დავიჭირეთ. ლუგანის რაიონი. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია.

კიევი. მაისის 10 სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა რაგოვსკიმ ბერლინში გარეშე საქმეთა სამინისტროს შემდეგი რადიო გაუგზავნა. ორ-ნახევარი თვის განმავლობაში რამოდენიმე პროტესტის მიუხედავათ გერმანიის მთავრობა განაგრძობს ჩვენი რწმუნებულების კარლ-რადეკის ტყვედ ყოლას, რომელიც ამაღლვებელ პირობებში იმყოფება. რადეკს გარკვეული ბრალდება არ არ წარუყენეს. მისი დაპატიმრება პოლიტიკურ რეპრესს წარმოადგენს. ამის გამო მთავრობამ უკვე განკარგულება მოახდინა ოდესაში მყოფ გერმანელ ელჩის დაპატიმრების შესახებ და გერმანიის მთავრობას აფრთხილებს, რომ გერმანიის ელჩს და გერმანიის სხვა მოქალაქენი. რომლებიც მძევლებათ ჰყავს. გამოშვებული იქნებიან მხოლოთ რადეკის განთავისუფლების შემდეგ.

მოსკოვი. მაისის 12. სამხედრო ცნობა მაის. 12. დასავლეთის ფრონტი, ჩუდის ზღვის რაიონში მოწინააღმდეგის ცდამ ლესანტისთვის ალყა შემოერტყა უნაყოფოდ ჩაიარა. დაზიანდა მტრის ერთი გემი. მარიენ-ბურგის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ესტონიის წითელმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. ვოლმარის რაიონი. გაინაშის ჩრდილოეთით ბრძოლაა ვილნოს რაიონი: ნოვო-სვენციანის და მოლოდეჩნოს მიმართულებით ჯავშნიანი მატარებლების ბრძოლაა. ლუნინეცის რაიონი, საარტილერიო ბრძოლაა. სამხრეთის ფრონტი: დაბალცევოს სამხრეთით მოწინააღმდეგემ მოროდიცეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი დაიჭირა, მაგრამ ჩვენ კონტრიერიშებით უკუ ვაგდეთ.

მოსკოვი. ლუგანის რაიონი: მოწინააღმდეგე დონეცზე გადავიდა. ნოვობეჟედროვკის რაიონში ბრძოლაა. სამხრეთით ჩვენი ჯარი დონზე გადავიდა და გუნდეროვსკაია დავიჭირეთ. ტიხორეცკაიას და სტავროპოლის მიმართულებით მოწინააღმდეგეს იერიშები მოვიგერიეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ცნობები არ მოსულა.

ლიონი, მაისის 10. ვენიდან მოსული ცნობით ბულგარეთი ძალებს აგროვებს გერმანელთა წინააღმდეგ. ფრანგებს ეს ცნობა არა სჯერათ. „ჟურნალ-დ, იტალია„ და—„კორიერო-დე-ლა სერა“ ჰფიქრობენ, რომ გერმანია რამოდენიმე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ დამორჩილდება მოკავშირეების პირობებს.

ლიონი, მაისის 12. გაზეთ „ტან“-ის განცხადებით, პოლონეთის დელეგაცია სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ პოლონეთს დაუბრუნდა უკომპენსაციოდ ის ტერიტორიები, რომელიც პოლონეთის გაყოფამდე მის შემადგენლობაში შედიოდნენ. ფრანგული კონსერვატიული გაზეთი ფოშთან ერთად პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ რეინის მარცხენა მხრის ოკუპაცია მხოლოდ 15 წლით ხდება, რადგან 15 წლის შემდეგ გერმანიასა და საფრანგეთს შუა მდგომარეობის გართულება მოელის. სოციალისტები საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგი არიან—მას იმპერიალისტურს უწოდებენ და გერმანიისთვის ახალშენების და საარის ოლქის ჩამორთმევის წინააღმდეგი არიან. „ჰუმანიტე“-ს სიტყვით, არც ერთი სოციალისტი ხელშეკრულების რატიფიკაციას ხმას არ მისცემს.

ლიონი. მაისის 10. ბაზელიდან მოსული ცნობით, გერმანიის და ავსტრიის კავშირის საკითხს ლიკვიდაცია უკვე მოხდა. ავსტრია უარს აცხადებს.

ნაუენი, მაისის 11. გაზეთ „ტან“-ის ცნობით, დანიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გერმანიის მიერ ტერიტორიალურ დიდ დაჩემობების მოთხოვნილებაზე უარი განაცხადა.

პარიზი, მაისის 11. ავსტრიის რწმუნებულთა შორის მხოლოდ კანონიერად რენნერს აქვს დავალება აწარმოოს მოლაპარაკება და საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს, კომისიის დანარჩენი წევრები ეროვნულ ყრილობის მიერ არიან მრჩევლებათ დანიშნულნი.

ნაუენი, მაისის 10. ბერლინში სამხედრო საველე სასამართლომ ლიბკნეხტის და როზა ლიუკსემბურგის მკვლელობის საქმის გარჩევა დაიწყო. დამნაშავეებათ ითვლებიან: გუსარი ოტტო რუნგე, კაპიტანი ფონ-ფლიუგარენტი, საზღვაო ლეიტენანტი ფონრუდოლფ ლიპესენი, პორუჩიკი კურტ ფოგელი და კაპიტანი უგრანც ვალლერი. გამოწვეულია 17 მოწმე. დამნაშავეებს ბრალს სდებენ იმაში, რომ გვამზე მოახდინეს თავდასხმა, რამოდენიმე ჭრილობა მიაყენეს და იარაღით ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. გუსარ ოტტო რუნგემ განაცხადა, რომ პირადათ ის ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მიმართ ზიზღს გრძნობდა. ლიბკნეხტის გამოჩენის დროს მან, სიძულვილით გონება დაკარგულმა, ორჯერ დაარტყა მას კეტი აგრეთვე მან რამოდენიმეჯერ კეტი დაარტყა როზა ლიუქსემბურგს. ის ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ სრულიადაც არ ფიქრობდა მოეკლა და არც ერთ ოფიციალურ პიროვნებას ის არ წაუქეზებია. კაპიტან გერსტ ფლიუგარტენმა თავის თავი დამნაშავეთ არ იცნო, პირიქით ლიბკნეხტმა დაიმსახურა მისი პატივისცემა როგორც მებრძოლმა და ის იცავდა ლიბკნეხტს ბრბოს თავდასხმისაგან. მე არ მინდოდა მომეკლა ლიბკნეხტი, სთქვა მან, მაგრამ მე არ მქონდა სხვა საშუალება ხელი შემეშალა მისი სიკვდილისთვის როდესაც გაიქცა.

ინგლისური პრესა.

გერმანელთა ნოტა გერმანელების დელეგატებმა ნოტა უკვე ჩააბარეს. ამ ნოტით ისინი საზავო პირობების გამო პროტესტს გამოსთქვამენ. მოკავშირეებმა უპასუხეს, რომ მათ სახეში ჰქონდა ის პრინციპები, რომლებიც მიღებული იყო დროებითი ზავის ჩამოგდების დროს. საზავო პირობების არსებით მხარეების წინააღმდეგობას ისინი არ დაუშვებენ, ხოლო სასარგებლო განცხადებას კი მიიღებენ მხედველობაში. ვერსალში გერმანიის დელეგატები ძლიერ არიან საქმეებით გართული. ზოგი მათგანი სხვა და სხვა საქმეთა გამო ხშირათ მიდიან ვეიმარში და უკან ბრუნდებიან.

ინგლისელთა მდგომარეობა ინდოეთში

ინდოეთში მყოფი დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს: „ჩვენი მდგომარეობა ინდოეთში ასე მტკიცე, როგორც ახლა არის არასოდეს არ ყოფილა, რადგან ომმა ბევრი რამ საერთო შექნა ჩვენსა განათლებულ ინდოელებს შორის, რაც წინათ არ ემჩნეოდა.

ბულგარეთის ჯარის გახრწნა

როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ბოლგარიის ჯარმა რუშჩუკთან და სხვა ადგილებში დემონსტრანტ-ბოლშევიკების წინააღმდეგ სროლაზე უარი განაცხადეს.

პეტროგრადის გარემოცვა

ბოლშევიკების მოწინააღმდეგე რუსის ჯარი ზედ პეტროგრადზე მიდის.

შეიდემანის სიტყვა

შეიდემანი ორშაბათს წარმოსთქვამს სიტყვას, რომელშიც ის განმარტავს გერმანიის მთავრობის შეხედულობას საზავო პირობებზე.

ოთხთა საბჭო.

ოთხთა საბჭოს შაბათს ჰქონდა თათბირი ზომების მიღების შესახებ, თუ ვინიცობაა გერმანელები ეცდებიან, რომ მოკავშირეებს ადვილათ დაახწიონ თავი. მოსალოდნელია ვილსონი ვაშინგტონში დაბრუნდეს ივნისის რიცხვებში.

ფრონტის საქმე

პარიჟიდან იუწყებიან, რომ ის ორი ამერიკის ჰიდროპლანი, რომლებიც ამერიკიდან ატლანტიის ოკეანეზე უნდა გადმოფრინდეს, 460 მილის ფრენის შემდეგ გალიფაქსიდან ნიუფაუნდლენში მივიდენ. მესამე ჰიდროპლანი კი რომელიც მანქანის უვარგისობის გამო იძულებული იყო დაშვებულიყო, იმედოვნებს დაწევა დანარჩენებს და განაგრძობს გზას პორტუგალიამდე.

ხელშეკრულება ვილსონის პრინციპებით უნდა დარჩეს შეთანხმებული, ამიტომ დროებითი ზავის ხელის მოწერა კანონის დარღვევა იყო. ისინი ვილსონის ნოტას ეყრდნობიან.

ხანიენის გამოგონება.

კალიფორნიელმა გამომგონებელმა ხანიენმა, რომელიც საინჟინერო რაზმში მსახურობდა, ამერიკაში ლექცია წაიკითხა თავის ახალ გამოგონების შესახებ, რომელიც შეძლებას მისცემს ჰაეროპლანების ნისლიან ამინდში ისე დაიშვას დაბლა, რომ თავის სადგურთან კავშირი არ შესწყვიტოს. ეს იქნება ახალი სახის უმავთულო ტელეგრაფი ან ტელეფონი, რომელიც მაღლა ასულ მფრინავს საშუალებას მისცემს ყველაფერი, რასაც ხედავს, თავის სადგურს შეატყობინოს. ეს გარემოება მფრინავს მიაწვდის ელექტრონის სვეტებს, რომელიც შესაძლებელს გახდის მფრინავთათვის, გამოარკვიოს თუ სად იმყოფება.

ატლანტიაზე გადაფრენა.

გალიფაქსიდან იუწყებიან, რომ იქ მივიდა ამერიკის 2 ჰაეროპლანი, რომლებიც ატლანტიის ოკეანეზე ევროპაში გადაფრენას აპირობენ. 540 საზღვაო მილი დაუსვენებლივ გადმოუფრენიათ. მესამე ჰაეროპლანი იძულებული იყო დაშვებულიყო და მფრინავმა რიდმა ღამე ოკეანეზე გაატარა, მაგრამ ჩატხამის ნავთსადგურში წაიყვანეს, რადგან მანქანა აღარ მუშაობდა.

გერმანული პრესა

სურსათი გერმანიისთვის.

გადაწყვეტილია 800,000 ტონა გაყინულ ხორცის ყიდვა, რომლის გერმანიაში შემოზიდვას მოკავშირეებმა ნება დართეს. ღირებულება ფლორინებით უნდა იქნეს გადახდილი. ცნობებია, რომ ნებას დართავენ ჩრდილოეთის ზღვიდან გერმანიის და ავსტრიის დაუპყრობელ ნავთსადგურებში, გამხმარ თევზის შემოზიდვას.

კრისტიანსენი გერმანიაზე.

ჰელსინგფორსის გაზეთის „ტაგბლატ“-ის მთავარი რედაქტორ-გამომცემელი ნილს კრისტიანსენი, გერმანიიდან შვეციაში დაბრუნებისას, სხვა და სხვა ქალაქში სიტყვებს ამბობს გერმანიაში მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ. ვერსალის წინადადება ვილსონის 14 მუხლის პაროდია არისო და აცხადებს, რომ გერმანიაში ყველა უკიდურეს მემარჯვენიდან დაწყებული მემარცხენემდე სამართლიან ზავის შესახებ მოტყუებულად გრძნობს თავს. მოკავშირეებს შეუძლიათ მხოლოთ ძალით მოახვიონ ეს ზავი გერმანიას, მაგრამ გერმანიას ვერა დროს ვერ აიძულებენ რომ აღიაროს იგი.

ექსპერტები.

ჰამბურგიდან სენატორი სტრანდესტი და გუბერნატორი ხაბერი ვერსალში გაიგზავნენ, როგორც საახალშენო საკითხების ექსპერტები.

გერმანელთა პროტესტები.

გერმანიის ყველა ოლქიდან მოდის პროტესტები ვერსალის ზავის გამო. ყველა რეზოლიუცია იწყება ვილსონის დეკლარაციით, როგორც მაგალითათ 1918 წ. აპრილში ნათქვამ შემდეგი სიტყვებით: „ბოლოს და ბოლოს ჩვენ მზათა ვართ გერმანიისადმი იმდენავე გამოვიჩინოთ სამართლიანობა, რამდენადაც სხვებისადმი. თუ საბოლო ხელშეკრულება სამართლიანი უნდა იყოს მაშინ მასში გარჩევა არ იქნება.

გერმანიის სოც. მოწოდება.

ბერლინის მუშათა საბჭოების დელეგატთა კრებაზე წაიკითხეს დამოუკიდებელ სოციალისტთა რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს ვერსალის ნაძალადევ ზავის გამო. კომუნისტებმაც გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებს რუსეთის საბჭოთა რევოლიუციასთან შეთანხმებით მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შემწეობით ერებს ნამდვილ თავისუფლება მიანიჭოს.

დანია შლეზვიგის შესახებ.

დანიის ოფიციალურ ცნობებით დანიის ელჩს პარიზში დეპეშით გადასცეს ინსტრუქციები, რომლებშიაც დანიის მთავრობა და პალატა შლეზვიგის შესახებ წინანდელ აზრს იმეორებენ.

კორესპონდენცია

სოფ. სიმონეთი (ქუთ. მაზრა).

ეს სოფელი დიდად ჩამოშორებული არის სწავლა-განათლებას. აქაურ ახალგაზრდებს სრულებით არ აინტერებს საზოგადო მუშაობა და სწავლა-განათლების შეძენა. საუბედუროთ ასეთი გამოყრუებული სოფელი ქურდ-ყაჩაღებმა ბუდეთ გაიხადეს და დღე არ გავა ისე, რომ არავინ არ გასძარცვონ და არავის არაფერი არ წაართვან. მარტში, აქ მცხოვრებ გლეხს, კიმოთე ბარდაველიძეს, ღამით თავს დაესხენ ნიღაბ აფარებული ყაჩაღები და ფული მოსთხოვეს (სხვათა შორის, ყაჩაღებმა დაწვრილებით უთხრეს ფულის პატრონს თუ რამდენი აქვს, როდის აიღო და ან რა გაჰყიდა) თითქმის უარის თქმა მათვის შეუძლებელი იყო, მაგრამ კიმოთე ბარდაველიძემ მაინც უარი განაცხადა საბრალო გლეხს ამაზე ძალიან სცემეს და აიძულეს ფულის ყუთი რომელშიაც 40.000 მან. იყო, მოეტანა. ფულის გარდა თანვე წაიყვანეს კიმოთეს შვილი, რომელსაც მოსთხოვეს ეჩვენებინა ვინმე ფულიანი მოსახლე, განსაკუთრებით-კი იქაური მცხოვრები ლუკა აბულაძე. აბულაძე პირველად გატაცებულ ვასილ ბარდაველიძეს გამოაძახებინეს და იმანაც ხმა რომ იცნო მაშინათვე უშიშრად გააღო კარები. თავზე ხელ აღებულები შეიჭრნენ სახლში და პირველად ლუკა აბულაძეს თოფის კონდახი ჩაჰკრეს თავში და შემდეგ გონება დაკარგულს ფული მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ ყაჩაღებმა რევოლვერით დასჭრეს საბრალო გლეხი და რაც კი რამე ებადა ყველაფერი წაართვეს, შემდეგ მიიმალნენ არ გასულა ბევრი ხანი, რაც რომ ამ ვაჟბატონებმა კიდევ დაიწყეს თავიანთებური დარბევა-დაწიოკება საბრალო დაღლილ-დაქანცულ გლეხებისა, მაგრამ ამაზედ ადგილობრივმა კომისარმა ვერაფერი ზომა ვერ მიიღო, და გათამამებული ყაჩაღები აპრილის 5 ს ღამით თავს დაესხენ კიმოთეს ძმას, ნესტორ ბარდაველიძეს. ფულის მოთხოვნაზედ ნესტორის ოჯახობამ იცნო ერთი ყაჩაღთაგანი და სთხოვა, რომ ფული არ წაერთმიათ, მაგრამ ხვეწნა მუდარის შეწყნარების მაგივრად გამხეცებულებმა ქალი მოჰკლეს და შემდეგ ფულის ყუთი და ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ.

სოფ. სიმონეთის გლეხები დიდ შიშსა და გაჭირვებას განიცდიან ყაჩაღებისაგან. ყოველივე ეს ადგილობრივმა კომისარმა კარგად იცის მაგრამ ხალხის შემაწუხებელ—ყაჩაღების ასალაგმავად, არაფერ ზომებს არ ღებულობს. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, თორემ სხვა ფრივ შეწუხებული გლეხობა ამ ზედმეტ შეწუხებას ვერ აიტანს საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამის მოსასპობათ საჭირო ზომები მიიღოს.

გალაქტიონ ბ—ძე.

◆◆◆◆◆◆◆

ახლად მოწყობილი სტამბა
„ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—12)

◆◆◆◆◆◆◆

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა
დღეს, 15 მაისს, წარმოდგენილი იქნება
ქ-ნი ნიტუში

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დილის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დილის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიდან — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დილის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

თბილისიდან-მცლაანამდე.

საავგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საავგარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თბილისიდან-თელავამდე.

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

თელავიდან-თბილისამდე.

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საავგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

ექიმი
ა. მ. კაკაბაშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგისა და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).
(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ელექსი და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და სევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს პირდაპირ“, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი
ე. ა. მოსე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სახსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირას და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2179—43

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.